

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

2010-2015 წლების შემაჯამებელი ანგარიში

კვლევა განხორციელდა პროექტ “საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა -www.opendata.ge” -
ფარგლებში

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და ღია
საზოგადოების ფონდები



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



OPEN SOCIETY
FOUNDATIONS

ანგარიშიში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ
გამოხატავს ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს და ღია საზოგადოების ფონდების პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული
ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

აკრძალულია ანგარიშიში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით,
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

კვლევაზე მუშაობდნენ:

ლევან ავალიშვილი
გიორგი კლდიაშვილი
ნინო მერებაშვილი
გოგა თუშურაშვილი
თამარ იაკობიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
ა. გრიბოედოვის ქ. № 3
საქართველო, თბილისი, 0108
ტელ: + 995 32 2 92 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi.ge

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა – opendata.ge“ გავლენა საჯარო პოლიტიკაზე.....	5
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი.....	5
საჯარო ინფორმაციის ანალიზი და კვლევა	7
კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირება	8
სტრატეგიული სამართალწარმოება	10
საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	11
პროექტის საერთაშორისო გავლენა	12
საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა 2010-2015 წლებში.....	13
2010-2015 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა	20
საჯარო ინფორმაციის გაცემის ფორმა - 2012-2015 წლებში	21
საჯარო დაწესებულებების დაჯილდოების ტრადიცია.....	22
2010-2015 წლების ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები.....	23
2010-2015 წლების ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები	24
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2015 წელს	26
მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია	26
2015 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა.....	29
სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებზე მიღებული პასუხები	30
განსხვავებული შინაარსის მოთხოვნებზე მიღებული პასუხები	32
საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები.....	33
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი 2015 წელს	35
ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები.....	36
ყველაზე არა-ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები	38
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგები დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით	39
სასამართლო პრაქტიკა და პროექტის ფარგლებში გამოვლენილი განსაკუთრებით პრობლემური საკითხები	54
IDFI-ის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრები	60
პროექტის ფარგლებში გამოვლენილი განსაკუთრებით პრობლემური საკითხები.....	62

წინასიტყვაობა

პროექტი „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge” IDFI-ის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და წარმატებული პროექტი იყო. პროექტი დაიწყო ფონდ ღია საზოგადოების ინიციატივით და მისი განვითარება შესაძლებელი გახდა უშუალოდ ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს და ღია საზოგადოების ფონდების ფინანსური მხარდაჭერით. IDFI დიდ მადლობას უხდის ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს და ღია საზოგადოების ფონდებს პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის 5 წლის განმავლობაში აქტიური მხარდაჭერისთვის.

2010 წელს დაწყებულმა საქმიანობამ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულებისა და სამოქალაქო კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებაზე.

პროექტის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი შედეგები მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

- საჯარო დაწესებულებებში გაიზარდა 30 000-მდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა;
- საქართველოში გაუმჯობესდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი;
- შეიქმნა საჯარო ინფორმაციის პირველი ქართული მონაცემთა ბაზა www.opendata.ge;
- გამოქვეყნდა ასობით სტატია და კვლევა საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე;
- საქართველოში დამკვიდრდა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტი და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის სტანდარტი;
- საქართველოში ინერგება ღია მონაცემების (OpenData) სტანდარტები;
- შემუშავდა ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტი;
- საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციაში აისახა ორგანიზაციის რეკომენდაციები;
- პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებებით გაუმჯობესდა საჯარო ინფორმაციის მიღების გარემო;
- ტრენინგების, შეხვედრების, დისკუსიების, სემინარებისა და ლექციების შედეგად გაიზარდა მოსახლეობის ცნობიერება ინფორმაციის თავისუფლების და სამოქალაქო ჩართულობის საკითხებზე;
- „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“ (OGP) ფარგლებში მოხდა ინფორმაციის თავისუფლების საკითხების წარმატებული ადვოკატირება;
- აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის ყოველწლიურ ანგარიშში საქართველოს შესახებ დაემატა IDFI-ის კვლევის შედეგები ინფორმაციის თავისუფლების საკითხების შესახებ;
- OpenData.ge აღიარებულ იქნა როგორც მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი პირველი და წარმატებული საჯარო ინფორმაციის მონაცემთა პლატფორმა.

2010 წლიდან IDFI-ის მიერ განხორციელებული ათობით პროექტისთვის, „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში მიღებული საჯარო ინფორმაცია და დაგროვილი გამოცდილება მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენდა. დიდ წილად სწორედ აღნიშნული პროექტის წარმატებამ განაპირობა ინსტიტუტის სხვა საქმიანობების განვითარება. ასეთი მიმართულებებია ღია მმართველობა და კორუფციასთან ბრძოლა, ელ-მმართველობა, საჯარო პოლიტიკა, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, მედიის თავისუფლება, ინტერნეტის თავისუფლება და სხვა.

5 წლის განმავლობაში, პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“ ფარგლებში, ინსტიტუტმა გააგზავნა 30 000-ზე მეტი მოთხოვნა 300-ზე მეტ საჯარო დაწესებულებაში, დაამუშავა და სპეციალურ მონაცემთა ბაზაში ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადა ათიათასობით დოკუმენტი, მონაცემი და ელექტრონული ინფორმაცია, აწარმოა ასობით ადმინისტრაციული და სასამართლო დავა, გამოაქვეყნა კვლევები, ბლოგები და სტატიები, გამართა საჯარო შეხვედრები, პრეზენტაციები, დისკუსიები და ლექციები. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შეუძლებელი იქნებოდა იმ ადამიანთა პროფესიონალიზმის, შრომისა და ჩართულობის გარეშე ვინც პროექტის გუნდთან ერთად გასწია ეს კოლოსალური საქმიანობა. IDFI დიდ მადლობას უხდის თითოეულ მათგანს გაწეული შრომისთვის, რომლის გარეშეც პროექტის წარმატება შეუძლებელი იქნებოდა.

2010 წლიდან დღემდე პროექტზე „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“ მუშაობდნენ:

ლევან ავალიშვილი, გიორგი კლდიაშვილი, ნატა კობახიძე, თეონა აქუბარდია, სანდრო ხეროდინაშვილი, მარიამ გაბაშვილი, ანი მდინარაძე, დავით დოლიძე, სერგი ჯორბენაძე, თეა ცერაძე, მარიკა კეჭაყმაძე, თამარ იაკობიძე, კონსტანტინე ჯანჯღავა, გოგა თუშურაშვილი, თეონა ტურაშვილი, სალომე ჩუხუა, თამარ თოლორდავა, ნინო ცუხიშვილი, ერიკ ჯექსონი, იური ჩეკურიშვილი, თათია ელიაძე, ნინო მერებაშვილი, უჩა სეთური, სანდრო როჩიკაშვილი, ლევან ხუციშვილი, ნინო ქავთარაძე, მარიამ ლევძე, სოფო ანანიაშვილი, მარიამ ალუღიშვილი, ლონდა ბერია, ნანა მახარაშვილი, ელიზა კოკელაძე, სალომე თარხნიშვილი, ხატია ნიკოლაიშვილი, ნატა ძველიშვილი, რატი პაპუნაშვილი, ელენე ცხადაძე, დავით მაისურაძე, მარიამ კვეზერელი, თამარ სართანია, საბა ბუაძე, ქეთი თოფურია.

პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა – opendata.ge“ გავლენა საჯარო პოლიტიკაზე

პროექტი „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა – opendata.ge“, რომელსაც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2010 წლიდან „ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსა“ და „ღია საზოგადოების ფონდების“ მხარდაჭერით ახორციელებს, ინსტიტუტის ყველაზე ხანგრძლივი, ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტია. დიდწილად სწორედ ამ პროექტის დახმარებით დაიკავა ინსტიტუტმა თავისი უნიკალური ნიშა ქართულ არასამთავრობო სექტორში. პროექტი წლების განმავლობაში განვითარდა და საქმიანობის სულ უფრო მრავალმხრივი და მრავალფეროვანი სფეროები მოიცვა. 2010 წელს პროექტის პირველი საპილოტე ვერსიის დაწყებიდან დღემდე, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის განვითარებაში, ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების დადგენაში, საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმების შემუშავებაში, საქართველოში საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და ღია მმართველობის განვითარებაში და საქართველოში აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში.

მოცემული თავის მიზანია შეაფასოს და შეაჯამოს პროექტის ხუთი წლის საქმიანობა და სხვადასხვა გრძელვადიანი შედეგები ქართულ საზოგადოებასა და საჯარო პოლიტიკაზე. აქტივობების სახეობებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს პროექტის სხვადასხვა მიმართულებები, საიდანაც თითოეულს თავისი მიღწევები აქვს. ქვემოთ წარმოგიდგენთ თითოეული მიმართულების შეჯამებას.

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი
- საჯარო ინფორმაციის ანალიზი და კვლევა
- კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირება
- სტრატეგიული სამართალწარმოება
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება
- პროექტის საერთაშორისო გავლენა

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი

პროექტის უმთავრესი და ძირითადი მიმართულება არის საქართველოს საჯარო დაწესებულებებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხის მონიტორინგი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში ყოველწლიურად ათასობით მოთხოვნა იგზავნება როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში.

პროექტის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა რაოდენობრივად გაიზომოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი საქართველოში. კერძოდ, ყოველწლიურად გაგზავნილი და მიღებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის შედეგად ვლინდება საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით ყველაზე ღია და დახურული უწყებები. ანალიზი ეყრდნობა ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა მოთხოვნილ ინფორმაციაზე გაცემული პასუხის სისრულე, დროულობა, ადმინისტრაციულ ორგანოთა უმოქმედობა, გასაჩივრების საჭიროება ა.შ.

2010 წლიდან დღემდე პროექტის ფარგლებში IDFI-ს საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი აქვს 30 000-ზე მეტი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა. წლების განმავლობაში დაგროვილი მონაცემები საინტერესო ანალიზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. მაგ. საინტერესო გამოდგა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ არსებული მდგომარეობის შედარება. როგორც ანალიზმა აჩვენა, არჩევნების შემდგომ პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, თუმცა მომდევნო წლებში ასეთი დადებითი ტენდენცია ვერ შენარჩუნდა. ამის მიუხედავად, 2010 წელთან შედარებით, როდესაც პროექტის საპილოტე ვერსია დაიწყო, დღევანდელი მდგომარეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში გაუმჯობესებულია. ჩვენი აზრით, გარდა შესაძლო პოლიტიკური მიზეზებისა, აღნიშნული ასევე გამომდინარეობს პროექტის განგრძობითობით, რადგან წლების განმავლობაში გაგზავნილი ათასობით მოთხოვნის, აქტიური ადვოკატირების პროცესის, ჩატარებული ტრენინგებისა და საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესების ფონზე ბევრმა საჯარო დაწესებულებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შიდა-ადმინისტრაციული რეგულაციები და ინფორმაციის მენეჯმენტის ხარისხი.

მიღებული ინფორმაციის რაოდენობრივი ანალიზის შედეგად, პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად ვლინდებოდა ყველაზე ღია და ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები, რომლებსაც IDFI სიმბოლური სიგელებით აჯილდოებდა. 2012 წლიდან მოყოლებული, როდესაც დაჯილდოება პროექტის ფარგლებში პირველად განხორციელდა, აღნიშნული მიდგომა საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების კუთხით. დაჯილდოების შედეგად, გარდა მედიის მხრიდან გაზრდილი ინტერესისა, თავად საჯარო დაწესებულებებიც გაცილებით მეტ ყურადღებას იჩენდნენ პროექტის ფარგლებში გაგზავნილი მოთხოვნებისა თუ ზოგადად საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების აღსრულების მიმართ. ჩვენს გუნდს სჯერა, რომ ამგვარი მიდგომით იზრდება არა მხოლოდ პროექტის ცნობადობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მოტივაცია. სწორედ ამიტომ, ყოველწლიური შეფასების დროს, ასევე ვაფასებთ იმ უწყებებს, რომლებმაც წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით პროგრესი ან რეგრესი განიცადეს.

პროექტის დაწყების დღიდან მის მიზანს არ წარმოადგენდა მხოლოდ საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდა. პროექტის მთავარი მიზანი ყოველთვის იყო საზოგადოებისთვის უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება,

მოქალაქეებისა თუ დაინტერესებული პირებისთვის საჯარო ინფორმაციის მოპოვების გაადვილება და საქართველოში ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. სწორედ ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში წარმოებული კორესპონდენცია, გაგზავნილი მოთხოვნები და მიღებული დოკუმენტები იტვირთება სპეციალურად ამ პროექტისთვის შექმნილ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში www.opendata.ge. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის თებერვლიდან IDFI-ის მიერ შექმნილ ბაზას შეუერთდა სამი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის (საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო, მწვანე ალტერნატივა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) ბაზებიც.

საჯარო ინფორმაციის ანალიზი და კვლევა

პროექტის თავდაპირველ მიზანს წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ბაზის შექმნა, და გაგზავნილი და მიღებული ინფორმაციის აღრიცხვა, იმ იმედით რომ ბაზაში ატვირთულ დოკუმენტებს საკუთარ საქმიანობაში გამოიყენებდა მედია, მკვლევრები, სტუდენტები და ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქე. თუმცა, პროექტის გუნდმა მალევე გააცნობიერა, რომ გარდა სტატისტიკური ანალიზისა, მიღებული საჯარო ინფორმაცია შინაარსობრივი კვლევებისთვისაც მდიდარ წყაროს წარმოადგენდა. შესაბამისად, IDFI-ის ანალიტიკოსებმა თავად დაიწყეს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კვლევების მომზადება. პროექტის ფარგლებში შეიქმნა „საჯარო ინფორმაციის ანალიტიკური ბლოგი“, სადაც 2012 წლის ივლისიდან დღემდე 180-მდე სტატია არის განთავსებული ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადმინისტრაციული და საბიუჯეტო სახსრების მართლზომიერი განკარგვა, სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პროექტების ეფექტიანობის შეფასება და მათი მიზნობრიობის ანალიზი, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა და სხვა. ხშირ შემთხვევაში, ინსტიტუტი პირველი იკვლევდა ისეთ აქტუალურ საკითხებს, რაზეც არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. მაგ. პრემიებისა და დანამატების გაცემის პრაქტიკა, სიმბოლურ ფასად გადაცემული სახელმწიფო ქონების ანალიზი, მარეგულირებელი პოლიტიკის ანალიზი (შპს სი-ტი პარკი, შპს თბილსერვის ჯგუფი), სხვადასხვა სტატისტიკური კვლევები (პროკურატურის მიერ განხორციელებული ფარული მიყურადება, ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლევარობები, უკანონო მოსმენების გამო პასუხისგებაში მიცემულ მოხელეთა რაოდენობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობა, დევნილთა ჩასახლება და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა, C ჰეპატიტით და აივ ვირუსით ინფიცირებული პირთა რაოდენობა, საპატრულო პოლიციის მიერ დაჯარიმებული პირთა რაოდენობა, ხე-ტყის ჭრის, თევზჭერისა და ნადირობის უკანონო ფაქტები, ნარკოტიკული დანაშაულის სტატისტიკა და ა.შ.), თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების წარდგენასთან დაკავშირებული დარღვევები, რუსეთის ფედერაციიდან ფულადი გზავნილების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე, საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოკუპაციის შემდეგ, მუშთაიდის პარკის იჯარით

გადაცემის ხელშეკრულების ანალიზი, სახელმწიფოსთვის საკუთრების ჩუქების პრაქტიკა, პრეზიდენტისა და მთავრობის ადმინისტრაციას შორის არსებული დავა პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით და ა.შ.

პროექტის ბლოგი გახდა მნიშვნელოვანი რესურსი როგორც მედიისთვის, ისე სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პოლიტიკით დაინტერესებული მკვლევარებისთვის. დღეისთვის ბლოგს 100-მდე გამომწერი, 197,000-მდე ნახვა და 85 სხვადასხვა ქვეყნიდან 121,500-ზე მეტი უნიკალური ვიზიტორი ყავს.

გარდა ბლოგებისა და მცირე სტატიებისა, პროექტის ფარგლებში მომზადდა ათობით კვლევა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ახალი პარლამენტის მშენებლობის ხარჯები და დაფინანსების სქემა, იუსტიციის სახლების მშენებლობის დაფინანსების საკითხები, მრჩეველის ინსტიტუტი საჯარო დაწესებულებებში, ფარული მიყურადების სფეროს რეგულირება საქართველოში, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში, საქართველოდან აშშ-ს ლობისტური კომპანიებისთვის გადარიცხული თანხების ანალიზი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსებული მოქალაქეები და ა.შ.

კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირება

პროექტის განვითარების შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირების წარმოება, როდესაც ინსტიტუტმა წარმატებით მოახერხა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილების მიღწევა საკანონმდებლო და განხორციელებული პროექტების დონეზე.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება ამ კუთხით ეხება საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2012 წელს შესულ ცვლილებას საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და ელექტრონული გამოთხოვის შესახებ. აღნიშნული ცვლილებით, რომელიც ძალაში 2013 წლის 1 სექტემბრიდან შევიდა, **საქართველოში დამკვიდრდა ღია მმართველობის თანამედროვე სტანდარტები**. კერძოდ, ერთი მხრივ საჯარო დაწესებულებებს დაეკისრათ ინფორმაციის პროაქტიულ რეჟიმში, მოთხოვნის გარეშე გასაჯაროების ვალდებულება, სპეციალურად შექმნილი ნუსხის შესაბამისად. მეორე მხრივ, შესაძლებელი გახდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა ელექტრონულად – საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის ელ-ფოსტის, საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული სპეციალური ელექტრონული ფორმის ან მოქალაქის პორტალის www.my.gov.ge-ის დახმარებით. უნდა აღინიშნოს, რომ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხაზე მუშაობისას IDFI-მ გამოიყენა არა მხოლოდ საკუთარი მრავალწლიანი პრაქტიკა, არამედ აგრეთვე საჯარო დისკუსიების შედეგად მოქალაქეებისგან მიღებული რეკომენდაციები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმატება ადვოკატირების კუთხით ეხება ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტის შემუშავებას. დღემდე ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით, რომელიც არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს საჭიროებების გათვალისწინებით, საკმაოდ მოძველებულია. სწორედ ამიტომ, IDFI-ის აქტიური ადვოკატირების შედეგად, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) საერთაშორისო ინიციატივის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ აიღო ინფორმაციის თავისუფლების ახალი კანონის შემუშავების ვალდებულება. კანონპროექტში, რომელიც ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერითა და IDFI-ის ექსპერტების აქტიური ჩართულობით შემუშავდა, ასახულია პროექტ www.opendata.ge-ს ფარგლებში ინსტიტუტის მიერ დაგროვილი გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები. მაგალითად ერთ-ერთი მთავარი სიახლე, რის შემოღებასაც კანონპროექტი მოიაზრებს, ეხება ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის ინსტიტუტის შექმნას. ახალი ორგანოს ვალდებულება და ამოცანა უნდა გახდეს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის კონტროლი და ინფორმაციის თავისუფლების სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის დაწყებისთანავე, იგი ორიენტირებული იყო საქართველოში **ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ახალი სტანდარტების დამკვიდრებაზე**. IDFI-ის წარმატებული ადვოკატირების საფუძველზე საქართველოში ეტაპობრივად იწერება ღია მონაცემების (Open Data) სტანდარტები. მაგ. საქართველოს ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, გათვალისწინებული იქნა ინსტიტუტის რეკომენდაციები და საქართველოში შეიქმნა ღია მონაცემთა პორტალი www.data.gov.ge.

IDFI-ის მიერ განხორციელებული სტრატეგიული ადვოკატირების კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატებული მაგალითია საქართველოს ანტი-კორუფციული საბჭოს ფარგლებში შემუშავებული არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც მოიცავს საჯარო დაწესებულებაში მამხილებელთა დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებას, თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნას, კორუფციის პრევენციას მარეგულირებელ ორგანოებში და სხვა. ორგანიზაციის სტრატეგიული ადვოკატირების ერთ-ერთი ყველაზე დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია, რომლის შემუშავებაში IDFI-ის გუნდმაც მიიღო აქტიური მონაწილეობა. სწორედ საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციაში გაერთიანდა პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ ფარგლებში გამოკვეთილი არაერთი პრობლემის მოგვარების ხედვები, კერძოდ საჯარო სამსახურში ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესება, საჯარო სამსახურში მიღების წესები და სხვა.

სტრატეგიული სამართალწარმოება

პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებას სტრატეგიული სამართალწარმოება წარმოადგენდა. ამ მხრივ, IDFI მიზნად ისახავდა გაეუმჯობესებინა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკა საქართველოში პრეცედენტული სასამართლო დავების წარმოების გზით. სწორედ ამას ემსახურებოდა ჩვენი მრავალწლიანი სასამართლო პროცესები ისეთ საჯარო დაწესებულებებთან, როგორებიცაა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, და სხვა. მოცემულ საქმეებში IDFI მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების განვითარებისა და დემოკრატიული მმართველობის კუთხით ახალი მიდგომებისა დანერგვისთვის. შესაბამისად, ინსტიტუტი სასამართლო წესით ასაჩივრებდა საჯარო დაწესებულებათა უარს ისეთი ინფორმაციის გაცემაზე, რომლის მიმართაც განსაკუთრებით მაღალი საჯარო ინტერესი არსებობდა. სხვადასხვა დაწესებულებებთან წარმოებული სტრატეგიული დავების შედეგად, სასამართლოს მიერ ცხადად განიმარტა, რომ ღია საჯარო ინფორმაციას წარმოადგენდა მონაცემები ისეთი ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ, როგორიცაა, მაგალითად თანამდებობის პირთა მიერ მიღებული პრემიები და დანამატები, გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების შესახებ ცნობები, ინფორმაცია წარმომადგენლობითი და სამიწვლინებო ხარჯების შესახებ და ა.შ.

IDFI-ის სტრატეგიული სამართალწარმოების მნიშვნელოვან გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ორგანიზაციის მიერ მოგებული დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციის წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც ღია ინფორმაციად იქნა მიჩნეული ფარული მიყურადების სტატისტიკა. IDFI-ის ადვოკატირებით, ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულების ფარგლებში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაიწყო ფარული მიყურადების სტატისტიკის პროაქტიულად გამოქვეყნება ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

IDFI-ს სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილება სწორედ ხელისუფლების ამ შტოში შეიმჩნევა. 2013-2015 წლებში მოსამართლეთა მიერ დაკმაყოფილდა IDFI-ის ისეთი საჩივრები, რომლებზეც გასულ წლებში (2011-2012) სასამართლო იღებდა აბსოლუტურად საპირისპირო გადაწყვეტილებებს. ეს ფაქტი ერთმნიშვნელოვნად დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს და წარმოადგენს დასტურს იმისა, რომ სასამართლო სისტემაში წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკა, როდესაც დავებზე გადაწყვეტილებები უმეტეს შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ მიიღებოდა, იცვლება მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის სასარგებლოდ.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

პროექტის განმავლობაში მუდმივი მონიტორინგისა და კვლევის შედეგად გამოვლენილი ყველაზე პრობლემური საკითხები ხშირად ექცეოდა როგორც მედიის, ისე ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ამ გზით მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ინფორმირებულობის დონე ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა საჯარო სექტორში გენდერული თანასწორობისა და ნეპოტიზმის პრობლემები, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტები, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და შესყიდვების მართვის პრაქტიკა, გადაწვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ნაკლებობა და ა.შ. პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევებმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, რამაც თავის მხრივ გაცილებით უფრო თვალსაჩინო გახადა უკეთესი რეგულირების აუცილებლობა.

ამის პარალელურად, პროექტის ცნობადობის ზრდასთან ერთად სულ უფრო მეტი მოქალაქე მომართავდა IDFI-ის საჯარო ინფორმაციის მიღების საკითხებზე კონსულტაციის მისაღებად. შეზღუდული ადამიანური რესურსების მიუხედავად, IDFI შემდგომისდაგვარად ყველა მოქალაქეს ეხმარება, როგორც სამართლებრივი კონსულტაციის, ისე ინფორმაციის მიღების კუთხით. მაგ. მარტო 2015 წელს კონსულტაციის, ინფორმაციის მიღების ან იურიდიული დახმარების თხოვნით თვეში საშუალოდ ოცდაათი პირი მომართავდა. პროექტის ფარგლებში ასობით მოთხოვნა გაიგზავნა მოქალაქეებისა თუ იურიდიული პირების თხოვნით, მიღებული ინფორმაცია კი გაანალიზდა და აიტვირთა საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში.

IDFI-ის ასევე ხშირად მიმართავდნენ ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული მასალების (ანგარიშები, კვლევები, სტატიები, ბლოგები, განცხადებები) შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით უცხოელი მკვლევრები, ჟურნალისტები, ბლოგერები და სტუდენტები.

IDFI ყოველთვის მიიჩნევდა, რომ სწორედ აქტიური საზოგადოების არსებობის პირობებში არის შესაძლებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა, ისევე როგორც ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება. აქედან გამომდინარე, პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“ ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა მოქალაქეების ჩართულობის გაზრდა ხელისუფლების გამჭვირვალობის, ღიაობის და ანგარიშვალდებულების კონტროლის პროცესში. ამ მიზნით IDFI-ის გუნდს ჩატარებული აქვს ათობით ტრენინგი და ლექცია საჯარო მოხელეებისთვის, თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, ჟურნალისტებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების გაუმჯობესება, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პროცედურები, ანგარიშვალდებულები მმართველობა და ა.შ.

პროექტის საერთაშორისო გავლენა

პროექტის წარმატება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა იმისათვის, რომ IDFI აქტიურად ჩართულიყო და გამხდარიყო ლიდერი ორგანიზაცია „**ღია მმართველობის პარტნიორობის**“ (OGP) ინიციატივაში, რომელსაც საქართველო 2011 წლიდან შეუერთდა. IDFI არის ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრი, ხოლო IDFI-ის დირექტორი 2013 წელს არჩეულ იქნება ფორუმის თანა-თავმჯდომარედ და სწორედ ამ ინიციატივის ფარგლებში გახდა შესაძლებელი არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილების მიღწევა ინფორმაციის თავისუფლების სფეროში, როგორცაა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და ელექტრონული გამოთხოვა, ღია მონაცემების პორტალის შექმნა, კორუფციის პრევენციის ახალი მექანიზმების დანერგვა და სხვა.

პროექტის წარმატების ინდიკატორად და საერთაშორისო აღიარებად უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ 2012 წლიდან მოყოლებული IDFI-ის მიერ პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის ყოველწლიურ ანგარიშში.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში მოხვდა აგრეთვე, ინსტიტუტის ზოგიერთი კვლევის დასკვნაც. მაგ. 2013 წლის ანგარიშში მოყვანილია IDFI-ის ანალიზი იმის შესახებ, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში საგრძნობლად გაუმჯობესდა. 2014 წლის ანგარიშში შევიდა IDFI-ის მონაცემები ინფორმაციის თავისუფლების არსებული მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ, როგორცაა მაგალითად თანამდებობის პირების სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ელექტრონული მიმოწერის შესახებ ინფორმაციის მიღების სირთულე.


ამას გარდა, 2014 წელს პროექტის ვებ-გვერდი OpenData.ge მოხვდა საერთაშორისო კვლევაში ინფორმაციის თავისუფლების (FOI) პლატფორმების შესახებ, რომელიც ბრიტანულმა ორგანიზაცია mySociety-მ ჩაატარა. კვლევამ მოიცვა ევროპის, სამხრეთ აფრიკის, აშშ-ს, ბრიტანეთის, კანადის და სხვა ქვეყნების 27 სხვადასხვა FOI პლატფორმა. **საერთაშორისო პრაქტიკის შედარებითი ანალიზის შედეგად OpenData.ge -ს წარმატება რამდენიმე სფეროში აღნიშნა.** როგორც კვლევამ აჩვენა, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული პლატფორმების დაარსება მსოფლიოში 2007 წლიდან დაიწყო, თუმცა პლატფორმების უმეტესობა არც ისე დიდი ხნის წინ, 2011-2013 წლებში დაფუძნდა. შესაბამისად, ქართული OpenData.ge, რომელიც 2010 წლიდან ფუნქციონირებს, მსოფლიოში არსებულთაგან ერთ-ერთი პირველი ვებ-გვერდია. ქართული OpenData.ge ანგარიშში მოხსენიებულია როგორც საჯარო ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პლატფორმა, რომელიც არ იყენებს MySociety-მიერ შექმნილ Alaveteli-ს პროგრამულ უზრუნველყოფას. რაც შეეხება კვლევით საქმიანობას, ქართული OpenData.ge მოყვანილია მაგალითად, როდესაც თავად პლატფორმის ავტორები ამზადებენ ანალიტიკურ მასალას მიღებულ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც ბაზაში გამოქვეყნებულ მონაცემებს უფრო ადვილად აღსაქმელს და ხელმისაწვდომს ხდის

ადამიანებისთვის. OpenData.ge კვლევაში ასევე განხილულია, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმატებით განხორციელებულმა პროექტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული მდგომარეობის აქტუალობის ზრდას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე.

საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა 2010-2015 წლებში


IDFI-ის მიერ, 2010-2015 წლებში განხორციელებული პროექტების ფარგლებში, საჯარო დაწესებულებებში სულ გაიგზავნა **30 152** საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადება, საიდანაც პასუხი მიღებულია **24 438** მოთხოვნაზე.



2010 წელს, საპილოტე პროექტის ფარგლებში, IDFI-ის მიერ 21 საჯარო დაწესებულებაში გაიგზავნა მხოლოდ 540 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების სტატისტიკა მნიშვნელოვნად იზრდებოდა შემდგომი პროექტების განმავლობაში და 2015 წელს 307 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებმა უკვე 8 297 ერთეული შეადგინა.


IDFI-ის მიერ 5 წლის განმავლობაში წარმოებული სტატისტიკის მიხედვით იკვეთება, რომ ეტაპობრივად იზრდებოდა საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე გაცემული პასუხების რაოდენობა. შესაბამისად, მატულობდა ინსტიტუტის მიერ მიღებული და ვებ-გვერდზე (www.opendata.ge) განთავსებული ინფორმაციის ოდენობაც, რაც საშუალებას აძლევს საიტის სტუმარს მიიღოს მეტი ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მისი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

პროექტების www.opendata.ge შედარებითი ანალიზი



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაგზავნილ მოთხოვნებსა და მიღებულ პასუხებს შორის არსებული პროცენტული თანაფარდობის დინამიკა ხასიათდებოდა ხშირი ცვალებადობით. კერძოდ, 2010 წელს გაგზავნილ მოთხოვნების მხოლოდ 44%-ის შემთხვევაში იქნა მიღებული პასუხი. 2011 წლის (იანვარი-სექტემბერი) პროექტის ფარგლებში აღნიშნული მაჩვენებელი 76%-მდე გაიზარდა, ხოლო შემდგომი პროექტის (2011 წლის ოქტომბერი - 2012 წლის მარტი) მიმდინარეობისას გაცემული პასუხების მაჩვენებელი 68%-მდე შემცირდა.

2010-2015 წლებში IDFI-ის მიერ განხორციელებული პროექტებიდან, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (90%) 2012 წლის ივლისი - 2013 წლის ივნისი პერიოდში ფიქსირდება. შემდგომი პროექტის ფარგლებში (2013 წლის ოქტომბერი - 2014 წლის დეკემბერი) აღნიშნული მაჩვენებელი 82%-მდე შემცირდა, ხოლო 2015 წელს (იანვარი-ნოემბერი) დაკმაყოფილებული განცხადებების მაჩვენებელმა 86% შეადგინა.




ინსტიტუტი მიღებულ პასუხებს და საჯარო დაწესებულებების ქმედებებს შემდეგი კატეგორიებით აფასებდა:

- **სრულყოფილი პასუხი** - მოთხოვნის პასუხად მიღებული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს დასმულ საკითხზე ამომწურავ პასუხს;
- **არასრულყოფილი პასუხი** - განცხადების პასუხად მიღებული გარკვეული ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს მოთხოვნილ საკითხს;
- **უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე** - საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარი, შესაბამისი დასაბუთებით, რომელიც ინსტიტუტის შეხედულებით არ არის მისაღები;
- **უპასუხო** - საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული უმოქმედობა, რაც გამოიხატა ინფორმაციის მოწოდებისგან თავის არიდებაში. აღნიშნული, სამართლებრივად გათანაბრებულია უართან, მაგრამ IDFI-ი განცალკევებულად აწარმოებს მსგავსი შემთხვევების სტატისტიკას;
- **ინფორმაცია დაწესებულებას არ აქვს/კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებია** - საჯარო დაწესებულების განმარტება, რომ მოთხოვნილი დოკუმენტი მასთან არ ინახება, ინსტიტუტის მოთხოვნა გადამისამართდა სხვა დაწესებულებაში, ან უწყების მიერ არ განხორციელებულა შესაბამისი ქმედება.

2010-2015 წლებში განხორციელებული პროექტების ფარგლებში საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილ 30 152 მოთხოვნაზე, IDFI-იმ სრულყოფილი პასუხი მიიღო 15 231 განცხადებაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 2 309 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 442 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 5673 მოთხოვნა, ხოლო 6 497 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ არ

ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება, ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში, ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, სადაც ისინი იუწყებიან, რომ მათ ინფორმაცია არ გააჩნიათ, ან კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებიათ.




2010-2015 წლებში IDFI-ის მიერ გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული სრულყოფილი პასუხების ყველაზე დაბალი (33%), ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე მაღალი (48%) მაჩვენებლები 2010 წელს განხორციელებული პროექტის ფარგლებში ფიქსირდება. 2011 წლის (იანვარი-სექტემბერი) პროექტის ფარგლებში სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელი 61%-მდე გაიზარდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 23%-მდე შემცირდა. 2011 წლის ოქტომბერი - 2012 წლის მარტის პერიოდში განხორციელებული პროექტის ფარგლებში საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მდგომარეობა კვლავ გაუარესდა და სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელი 45%-მდე შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 36%-მდე გაიზარდა.

შემდგომი პროექტის (2012 წლის ივლისი - 2013 წლის ივნისი) განხორციელების პერიოდი დაემთხვა საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საწყის ეტაპზე პოლიტიკური ცვლილებები დადებითად აისახა სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშვალდებულებაზე და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. კერძოდ, ამ პერიოდში სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელი 79%-მდე გაიზარდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 12%-მდე შემცირდა.

სამწუხაროდ, მომდევნო პროექტის ფარგლებში IDFI-ის მიერ განხორციელებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგით ნათლად გამოჩნდა, რომ მთელი რიგი საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუმჯობესება დაკავშირებული იყო ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის საწყის ეტაპთან, როდესაც საჯარო დაწესებულებების მიერ რაიმე სახის ინფორმაციის დამალვის სურვილი ნაკლებად არსებობდა. კერძოდ, პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპზე საჯარო დაწესებულებების მიერ სრულყოფილად გაცემული პასუხების 79%-იანი მაჩვენებელი, შემდგომი პროექტის (2013 წლის ოქტომბერი - 2014 წლის დეკემბერი) ფარგლებში 66%-მდე შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 26%-მდე გაიზარდა.

2015 წელს (იანვარი-ნოემბერი) საჯარო დაწესებულებების მიერ სრულყოფილად გაცემული პასუხების საერთო მაჩვენებელი 2014 წელთან შედარებით 3%-ით გაუმჯობესდა და 70% შეადგინა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 5%-ით შემცირდა და 21% შეადგინა.




2010-2015 წლებში განხორციელებული პროექტების ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, განსხვავებული ტენდენციები გამოიკვეთა საჯარო დაწესებულებების კატეგორიების მიხედვითაც.

სამინისტროების შემთხვევაში 2010-2012 წლებში განხორციელებული პროექტების განმავლობაში სრულყოფილად გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ 46%-ს შეადგენდა. 2012 ივლისი - 2013 ივნისის პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი 88%-მდე გაიზარდა. თუმცა, მომდევნო პროექტებში მთელი რიგი სამინისტროების მხრიდან არ იქნა გაცემული ის ინფორმაცია, რაც დეტალურად გასაჯაროვდა მათ მიერვე 2013 წლის დასაწყისში. აღნიშნული უარყოფითად აისახა სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელზე და 2013 ოქტომბერი - 2014

დეკემბრის პროექტის ფარგლებში 76%-მდე, ხოლო 2015 წელს (იანვარი-ნოემბერი) 75%-მდე შემცირდა.


შესაბამისად მერყეობდა სამინისტროების მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელიც. 2012 ივლისი - 2013 ივნისი პროექტში უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების 4%-ნი მაჩვენებელი, შემდგომ პროექტში (2013 ოქტომბერი - 2014 დეკემბერი) 9%-მდე, ხოლო 2015 წელს (იანვარი-ნოემბერი) 15%-მდე გაიზარდა.



სამინისტროებს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების შემთხვევაშიც, სრულყოფილად გაცემული პასუხების ყველაზე დაბალი (49%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე მაღალი (33%) მაჩვენებლები 2011 წლის ოქტომბერი - 2012 წლის მარტის პერიოდში, ხოლო სრულყოფილად გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი (86%) და უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ყველაზე დაბალი (5%) მაჩვენებლები 2012 წლის ივლისი - 2013 წლის ივნისის პროექტის ფარგლებში ფიქსირდება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლიდან, პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპზე არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებლის გაუარესებაში, განსაკუთრებული როლი ითამაშა მთელი რიგი უწყებების მხრიდან ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი მოთხოვნების უპასუხოდ დატოვებამ, რაც სამართლებრივად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარს გულისხმობს. კერძოდ, 2013 წლის ოქტომბერი - 2014 წლის დეკემბრის პერიოდში სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელი 69%-მდე შემცირდა, ხოლო

უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 23%-მდე გაიზარდა. 2015 წელს კვლავ გაგრძელდა უარყოფითი ტენდენცია და სრულყოფილი პასუხების მაჩვენებელმა - 61%, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელმა 30% შეადგინა.




2011-2012 წლებში განხორციელებული პროექტების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან სრულყოფილად გაცემული პასუხები 50%-დან 53%-მდე მერყეობდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 36%-დან 38%-მდე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფრო მაღალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩეოდნენ, ვიდრე ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულებები.

2012 ივლისი - 2013 ივნისის პროექტის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელი 73%-მდე გაიზარდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 20%-მდე შემცირდა. შემდგომ პროექტში (2013 წლის ოქტომბერი-2014 წლის დეკემბერი) სრულყოფილად გაცემულმა პასუხებმა 60%, ხოლო უპასუხოდ დატოვებულმა მოთხოვნებმა 35% შეადგინა.

2015 წელს (იანვარი-ნოემბერი) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებლის გაუმჯობესება უმეტესწილად განპირობებულია ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებიდან სრულყოფილად გაცემული პასუხების მნიშვნელოვანი მატებით. 2015 წელს თვითმმართველი ერთეულებიდან სრულყოფილად გაცემული პასუხები განვლილ პროექტთან (2013 წლის ოქტომბერი-2014 წლის დეკემბერი) შედარებით გაიზარდა 11%-ით, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები შემცირდა 14%-ით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადგილობრივ თვითმმართველობების არჩევნები გაიმართა 2014 წლის ზაფხულში, შესაბამისად 2015 (იანვარი-ნოემბერი) პროექტი დაემთხვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპს.




2010-2015 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ. ამავე დროს, თუ ინფორმაცია მოითხოვს დამუშავებას, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის შეიძლება დაწესდეს 10 დღიანი ვადა. იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის მიერ 2010-2015 წლებში ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო დიდი მოცულობის ინფორმაცია, სტატისტიკის წარმოებისთვის ვადის დაცვად მიჩნეულ იქნა ათი სამუშაო დღე, მიუხედავად იმ ფაქტისა დაწესებულებამ მოითხოვა თუ არა 10 დღიანი ვადა ინფორმაციის გასაცემად.

2010-2015 წლებში განხორციელებული პროექტების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი პასუხი (75%) 10 დღიანი ვადის დაცვით ინსტიტუტისათვის მოწოდებულია 2015 წელს (იანვარი - ნოემბერი).


10 დღიანი ვადის დაცვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (22%) დაფიქსირდა 2010 წელს ინსტიტუტის მიერ განხორციელებული საპილოტე პროექტის ფარგლებში.



საჯარო ინფორმაციის გაცემის ფორმა - 2012-2015 წლებში

საქართველოს კანონმდებლობა განმცხადებელს უფლებას აძლევს აირჩიოს ინფორმაციის მიღების მისთვის სასურველი ფორმა. 2012 წლიდან ინსტიტუტი იყენებდა ამ უფლებას და საჯარო დაწესებულებებს თხოვდა, მოეწოდებინათ ელექტრონული დოკუმენტის სახით ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოებოდა ელექტრონულად ან/და შესაძლებელი იყო მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ IDFI უპირატესობას ანიჭებდა დოკუმენტაციის ელექტრონული სახით მოწოდებას, საჯარო დაწესებულებები, ხშირ შემთხვევაში, ინფორმაციას გასცემდნენ ბეჭდური სახით, რაც მოითხოვდა ადმინისტრაციული რესურსის მეტ დანახარჯს ინფორმაციის ელექტრონული სახით მოწოდებასთან შედარებით. თუმცა აღსანიშნავის ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გაცემის პრაქტიკა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. პროექტი 2012 ივლისი-2013 ივნისი ფარგლებში ელექტრონულად მიღებული დოკუმენტაციის პროცენტული წილი შეადგენდა მხოლოდ 15% -ს, მომდევნო პროექტში აღნიშნული მაჩვენებელი 30%-მდე გაიზარდა, ხოლო 2015 წელს - უკვე 39% შეადგინა.




ჩვენი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია დაწესებულებაში ელექტრონული ფორმით ინახება და არსებობს განმცხადებლის მოთხოვნა - მიიღოს ინფორმაცია ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დააკმაყოფილოს ინფორმაციის მოწოდების უფრო ეფექტური ფორმა - ელექტრონული. აღნიშნული, ერთი მხრივ, დაზოგავს დაწესებულების ადმინისტრაციული რესურსის ძალისხმევას, ხოლო მეორე მხრივ, მისცემს განმცხადებელს საშუალებას გათავისუფლებულ იქნას საჯარო ინფორმაციის ასლის მოსაკრებლის გადახდისაგან, რაც საბოლოო ჯამში დააჩქარებს და გაამარტივებს საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცესს.

საჯარო დაწესებულებების დაჯილდოების ტრადიცია

2011 წლიდან IDFI-იმ დაამკვიდრა პრაქტიკა, რომლის მიხედვით პროექტის ფარგლებში წარმოებულ სტატისტიკურ მონაცემთა საფუძველზე აჯილდოებდა საჯარო დაწესებულებებს შესაბამისი სიგელებით. აღნიშნული ტრადიცია საერთაშორისო პრაქტიკის ანალოგიურად, ხელს უწყობდა დაწესებულებებს შორის ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას და ჯანსაღ კონკურენციას. 2011 წლიდან შესაბამისი სიგელები გადაეცემოდათ იმ უწყებებს ვინც სრულყოფილად პასუხობდა ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს, აგრეთვე იმ დაწესებულებებს ვინც სამწუხაროდ ვერ უზრუნველყოფდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროექტების მიხედვით ინსტიტუტის მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დაჯილდოებული დაწესებულებების რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები პროექტების მიხედვით განსხვავებულია,

წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ ინსტიტუტის მიერ დამკვიდრებული დაჯილდოების ტრადიცია, ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ საჯარო დაწესებულებას უზრდიდა მოტივაციას ინსტიტუტის ყველა მოთხოვნაზე გაეცა სრულყოფილი პასუხი კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით.



2010-2015 წლების ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები

2010-2015 წლებში განხორციელებული პროექტების ფარგლებში წარმოებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ინსტიტუტის მიერ გამოვლენილი იქნა აღნიშნულ პერიოდში ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები:


- **სახალხო დამცველის აპარატი**
- **დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

სახალხო დამცველის აპარატს 2010-2015 წლებში სულ გაეგზავნა 103 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, საიდანაც ინსტიტუტს მოეწოდა 102 სრულყოფილი და ერთი არასრულყოფილი პასუხი. ყველა შემთხვევაში პასუხი მოწოდებული იქნა საქართველო კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადის დაცვით.

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2010-2015 წლებში სულ გაეგზავნა 81 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, საიდანაც ყველა პასუხი სრულყოფილად იქნა მოწოდებული. ამ პერიოდის განმავლობაში სულ 17 შემთხვევაში დაირღვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადა.

2010-2015 წლების ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2011 წლიდან IDFI ასახელებდა ისეთ უწყებებს, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ ანგარიშვალდებულებით, არ ასრულებდნენ მათზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას და არ უზრუნველყოფდნენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ყველაზე მეტი (17) საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვისათვის დასახელდა 2011 ოქტომბერი - 2012 მარტი პროექტის ფარგლებში, ხოლო ყველაზე ცოტა (4) 2012 ივლისი - 2013 ივნისი პროექტის ფარგლებში.




2011 წლიდან ინსტიტუტის მიერ განხორციელებული თითოეული პროექტის ფარგლებში გამოვლენილი იქნა შემდეგი ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები.

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები პროექტების მიხედვით	
2011 ოქტომბერი 2012 მარტი	• საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
2012 ივლისი 2013 ივნისი	• ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
2013 ოქტომბერი 2014 დეკემბერი	• სასაჯელაღსრულების დეპარტამენტი
2015 იანვარი 2015 ნოემბერი	• ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ინსტიტუტის მიერ ყველაზე დახურულ დაწესებულებად დასახელებული უწყებები მომდევნო პროექტებში მნიშვნელოვნად აუმჯობესებდნენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. 2011-2012 წლების პროექტის ფარგლებში ყველაზე დახურულ უწყებად დასახელებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები მომდევნო პროექტების ფარგლებში 75%-დან 90%-მდე მერყეობდა, ხოლო 2012-2013 წლებში თავდაცვის სამინისტრო მოხვდა იმ საჯარო დაწესებულებებს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტად გაუმჯობესეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

2012-2013 წლების პროექტის ფარგლებში ყველაზე დახურულ უწყებად დასახელებული ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მაჩვენებელმა 2014 წელს შეადგინა 36.1%, ხოლო მომდევნო პროექტის ფარგლებში სემეკი უკვე დასახელებული იქნა საჯარო დაწესებულებად, რომელმაც ყველაზე მეტად გააუმჯობესა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2015 წელს.

2014 წელს ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებად დასახელებულმა უწყებამ - სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა, 2015 წელს განიცადა რეორგანიზაცია და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულად - გარდაიქმნა. შესაბამისად, აღნიშნული უწყების, როგორც დამოუკიდებელი საჯარო დაწესებულების, 2015 წლის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ინსტიტუტს არ გააჩნია.



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2015 წელს

2010-2015 წლების შემაჯამებელი ანგარიშის წინამდებარე თავში დეტალურად წარმოდგენილი იქნება 2015 წელს (იანვარი-ნოემბერი) IDFI-ის მიერ გაანალიზებული საქართველოს საჯარო დაწესებულებებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკა. კერძოდ, კვლევა შემუშავდა საანგარიშო პერიოდში საქართველოს **307 საჯარო დაწესებულებისათვის** გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების მიხედვით. დაწესებულებები, სადაც ჩვენს მიერ გაიგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- **29** ცენტრალური საჯარო დაწესებულება (პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები, აჭარის ა/რ-ის მთავრობა და სამინისტროები);
- **77** სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ -ი და საქვეუწყებო დაწესებულება;
- **28** დამოუკიდებელი ორგანო (დამოუკიდებელი სსიპ-ები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა);
- **142** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანო (მერია, გამგეობა, საკრებულო);
- **9** გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- **10** სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- **3** დაწესებულება სასამართლო სისტემიდან (იუსტიციის უმაღლესი საბჭო, უზენაესი სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლო);
- **9** სახელმწიფო შპს და ააიპ.

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

2015 წელს (იანვარი-ნოემბერი) IDFI-იმ 307 საჯარო დაწესებულებას სულ გაუგზავნა საჯარო ინფორმაციის 8 297 მოთხოვნა. მოთხოვნები მოიცავდა იმგვარ ინფორმაციას, რომლის მოლოდინიც, რომ იგი შეიძლება წარმოადგენდეს საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას ან დახურულ პერსონალურ მონაცემებს, არ არსებობდა.

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტმა საჯარო დაწესებულებებს გაუგზავნა სტანდარტული შინაარსის კითხვები (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები). სხვადასხვა დაწესებულებას ხსენებული კითხვები განსხვავებული სახით გაეგზავნა. სტანდარტული შინაარსის კითხვების შედგენისას, IDFI-ის მიერ გათვალისწინებული იქნა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით განსაზღვრული და პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც მთელ რიგ დაწესებულებებს განთავსებული

აქვთ საკუთარ ვებ-გვერდებზე.¹ ის ინფორმაცია, რომელიც დეტალურად იყო გამოქვეყნებული კონკრეტული დაწესებულების მიერ საკუთარ ვებ-გვერდზე, IDFI-ის დამატებით არ მოუთხოვია. მაგალითად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს, საკუთარ ვებ-გვერდზე, გამოქვეყნებული ჰქონდა დეტალური მონაცემები თანამდებობის პირთა პრემიებისა და დანამატების, სამივლინებო და საკომუნიკაციო ხარჯების შესახებ, ინსტიტუტი აღარ ითხოვდა ანალოგიურ ინფორმაციას ამ უწყებიდან.

IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებისათვის გაგზავნილი სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები ძირითადად დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვასთან, საკადრო უზრუნველყოფასთან, ელექტრონულ კორესპონდენციასთან და გამჭვირვალე მმართველობის სხვა საკითხებთან.

2015 წელს IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილია შემდეგი შინაარსის სტანდარტული მოთხოვნები:

- გადაუდებელი აუცილებლობით განპირობებული შესყიდვები;
- პრემიები (თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე);
- სახელფასო დანამატები (თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე);
- სამივლინებო ხარჯები (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით);
- როუმინგის ხარჯები (თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე);
- წარმომადგენლობითი ხარჯები (დეტალური ინფორმაცია);
- შესყიდული და ჩანაცვლებული ავტომობილების შესახებ მონაცემები;
- სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი და მათი წარმატების შეფასების ინდიკატორები;
- შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება;
- საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;
- შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში;

¹ბოლო წლებში, საქართველოს კანონმდებლობაში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხრივ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გაშტატდა ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით გამოთხოვის ცნებები. შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებს დაეკისრათ ვალდებულება დადგენილი წესით საკუთარ ელექტრონულ რესურსზე გამოაქვეყნონ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაცია. მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ. აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არეგულირებს ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი, გამოქვეყნების ვადები, განსაზღვრულია ის საჯარო დაწესებულებები, რომლებზეც ვრცელდება მოცემული ვალდებულება და სხვა.


- ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში;
- განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით;
- დასაქმებული და განთავისუფლებული თანამდებობის პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაცია;
- ხელმძღვანელის მრჩევლების სამუშაო გამოცდილება (CV);
- ხელმძღვანელის მრჩევლების სამუშაო აღწერილობა;
- ბიუჯეტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროსთან მიმოწერის ასლები;
- უფლებამოსილი პირის ელ. ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული და გაგზავნილი წერილები;
- თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტები და მოხსენებითი ბარათები;
- ხელმძღვანელის მრჩევლების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტები;
- საკონსულტაციო მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები;
- აუდიტორული შემოწმების აქტები.

სტანდარტული მოთხოვნების გარდა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას დამატებით გაეგზავნათ მოთხოვნები ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მათი საქმიანობის სფეროს შეეხებოდა, ასევე ის შეკითხვები რომლებსაც ინსტიტუტს მოქალაქეები და დაინტერესებულ პირები აწვდიდნენ. ასეთი არასტანდარტული შეკითხვების მაგალითებია: სასწრაფო დახმარების გამოძახებიდან ადგილზე მისვლამდე დაფიქსირებული დროის სტატისტიკა; მეტადონით ჩანაცვლებით პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა; ავღანეთის სამშვიდობო მისიაში და უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისას გარდაცვლილი და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები და მათზე გაწეული დახმარება და სხვა. სულ გაგზავნილი იქნა 645 ამგვარი მოთხოვნა.

2015 წელს მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკა

IDFI-იმ, 307 საჯარო დაწესებულებისათვის გაგზავნილ 8297 მოთხოვნაზე, სრულყოფილი პასუხი მიიღო 3 961 განცხადებაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 438 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 63 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 1 175 მოთხოვნა, ხოლო 2 660 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება, ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია.


ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში და ასევე საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებლების შედგენისას, ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული იმგვარი პასუხები, სადაც ისინი იუწყებიან, რომ მათ ინფორმაცია არ გააჩნიათ ან კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებიათ. შესაბამისად, 307 უწყების შემთხვევაში, მონაცემები წარმოდგენილია ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ 5637 განცხადებაზე მიღებული პასუხების მიხედვით.



ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებიდან, დაწესებულებების კატეგორიების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს სახელმწიფო შპს-ებმა და ააიპ-ებმა. აღნიშნულ უწყებებს, პროექტის განხორციელების პერიოდში, სულ გაეგზავნათ 28 მოთხოვნა, საიდანაც 24 შეკითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული, ხოლო 2 შემთხვევაში ინსტიტუტს ეცნობა უარი ინფორმაციის მოწოდებაზე.

გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები დაწესებულებების სახეების მიხედვით


■ სრულყოფილი ■ არასრულყოფილი ■ უპასუხო ■ უარი



სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებზე მიღებული პასუხები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტის განხორციელების პერიოდში, საჯარო დაწესებულებებს გაეგზავნათ სხვადასხვა სახის შეკითხვები, მათ შორის, IDFI-ის მიერ შემუშავებული სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები.


5637 მოთხოვნიდან, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები, 4 992 წარმოადგენს სტანდარტული შინაარსის მოთხოვნას. აღნიშნული შინაარსის მოთხოვნებიდან სრულყოფილი პასუხი მოწოდებულია 3 581 მოთხოვნაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 377 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 51 შემთხვევაში, ხოლო უპასუხოდ დატოვებული იქნა 983 მოთხოვნა.



განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა საინტერესო მაჩვენებლები იმ სტანდარტულ შეკითხვებთან მიმართებაში, რომლებზეც პასუხები საჯარო დაწესებულებათა მხრიდან არ იქნა გაცემული (უპასუხოდ იქნა დატოვებული ან მიღებული იქნა უარი). სტანდარტულ შეკითხვებზე გაუცემელი პასუხების ყველაზე დიდი წილი (10.7%) მოდის თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების, შესაბამისი დანართებისა და მოხსენებითი ბარათების ასლების შესახებ ინსტიტუტის მოთხოვნაზე.

რიგით მეორე, ყველაზე დახურულ ინფორმაციას, წარმოადგენს საჯარო დაწესებულებებში დანიშნული და განთავისუფლებული თანამდებობის პირების სამუშაო გამოცდილების CV შესახებ ინფორმაცია - 9.6% მაჩვენებლით.

განვლილი პროექტის მსგავსად, საჯარო დაწესებულებებისათვის პრობლემატური აღმოჩნდა აგრეთვე ინსტიტუტის მოთხოვნა უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების შესახებ.




განსხვავებული შინაარსის მოთხოვნებზე მიღებული პასუხები

პროექტის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებებს აგრეთვე გაეგზავნათ განსხვავებული შინაარსის მოთხოვნები. აღნიშნული წარმომადგენს IDFI-ის მიერ კონკრეტული საკითხების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით და ასევე მოქალაქეთა თხოვნით შემუშავებულ და გაგზავნილ კითხვებს.

საჯარო დაწესებულებებს სულ გაეგზავნათ ასეთი 645 მოთხოვნა, რომელთაგან სრულყოფილი პასუხი მივიღეთ 380 მოთხოვნაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 61 მოთხოვნაზე, უარს ადგო 3 ქონდა 12 შემთხვევაში, ხოლო უპასუხოდ დატოვებული იქნა 192 მოთხოვნა.


განსხვავებული შინაარსის მოთხოვნებზე მიღებული პასუხები



საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები


2015 წელს პროექტის ფარგლებში საჯარო დაწესებულებისათვის გაგზავნილი 8 297 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან, IDFI-იმ 6187 შემთხვევაში ინფორმაცია მიიღო 10 დღიანი ვადის დაცვით. ამავე დროს, უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით, 2 110 შემთხვევაში დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადა.

უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით 10 დღიანი ვადის დარღვევა



თუ დავუშვებთ, რომ საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაცემულია იმ შემთხვევაში,

თუ განმცხადებელს იგი მოთხოვნიდან 3 დღეში მიეწოდა, მაშინ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ დაუყოვნებლივ გაცემულმა მოთხოვნების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 932. განმცხადებების რაოდენობა რომელზეც მოითხოვეს 10 დღიანი ვადა და აღნიშნულ ვადაში უზრუნველყვეს ინფორმაციის მოწოდება, შეადგენს 1587-ს. საჯარო დაწესებულებების მიერ 206 შემთხვევაში მოთხოვნილი იქნა 10 დღიანი ვადა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ან უპასუხოდ იქნა დატოვებული, ან მოწოდებულია ვადების დარღვევით. 3 668 შემთხვევაში, არ არის მოთხოვნილი 10 დღიანი ვადა, თუმცა ინფორმაცია მოწოდებულია 4 დან 10 დღემდე პერიოდში, ხოლო 1 904 შემთხვევაში 10 დღიანი ვადის მოთხოვნის გარეშეა დარღვეული კანონმდებლობით დადგენილი ვადები.



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი 2015 წელს

2015 წელს განხორციელებული პროექტის ფარგლებში გამოვლენილი მონაცემები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგები.

საჯარო დაწესებულებათა აღნიშნული რეიტინგების შედგენისას გამოყენებულ იქნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასების მაჩვენებლები, რომლებიც მიღებულია ქვემოთ მოცემული კოეფიციენტების მიხედვით:

მიღებული ინფორმაციის შეფასების კოეფიციენტები	
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	1
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	0,99
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დაცვით	0,5
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად 10 დღიანი ვადის დარღვევით	0,49
ინფორმაცია მოწოდებულია სრულყოფილად ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ	0,6
ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ	0,3
დაუსაბუთებელი უარი ინფორმაციის გაცემაზე	0
მოთხოვნა დატოვებულია უპასუხოდ	0

ანალოგიური მეთოდოლოგიით შეფასებული იქნა საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განვლილი 2012-2014 წლების პროექტების ფარგლებშიც, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ აღნიშნულის თვალსაზრისით ტენდენციები კონკრეტული დაწესებულებების მაგალითზე.

ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები

ინსტიტუტის მიერ განხორციელებულმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგმა აჩვენა, რომ 2015 წელს (იანვარი-ნოემბერი) საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადის დაცვით გასცა 56-მა საჯარო დაწესებულებამ:

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები					
საჯარო დაწესებულება		მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	31	31	31	100%
2	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	29	29	29	100%
3	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	28	28	28	100%
4	ცენტრალური საარჩევნო კომისია	28	28	28	100%
5	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	27	27	27	100%
6	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	26	26	26	100%
7	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	26	26	26	100%
8	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	25	25	25	100%
9	ღვინის ეროვნული სააგენტო	25	25	25	100%
10	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	24	24	24	100%
11	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	23	23	23	100%
12	ეროვნული ბანკი	23	23	23	100%
13	ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	22	22	22	100%
14	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	21	21	21	100%
15	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21	21	21	100%
16	საჯარო სამსახურის ბიურო	21	21	21	100%
17	ცაგერის გამგეობა	21	21	21	100%
18	ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	20	20	20	100%
19	ეროვნული მუზეუმი	20	20	20	100%
20	საქპატენტი	20	20	20	100%
21	სახალხო დამცველის აპარატი	20	20	20	100%
22	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	20	20	20	100%
23	ტყიბულის გამგეობა	19	19	19	100%
24	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	18	18	18	100%
25	პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	18	18	18	100%

26	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	18	18	18	100%
27	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	18	18	18	100%
28	წყალტუბოს გამგეობა	18	18	18	100%
29	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი	16	16	16	100%
30	კასპის გამგეობა	16	16	16	100%
31	აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	15	15	15	100%
32	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	15	15	15	100%
33	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	15	15	15	100%
34	ტექნიკური უნივერსიტეტი	15	15	15	100%
35	დმანისის გამგეობა	15	15	15	100%
36	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	14	14	14	100%
37	აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	14	14	14	100%
38	ვანო ხუზუნაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	14	14	14	100%
39	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა	14	14	14	100%
40	ცაგერის საკრებულო	14	14	14	100%
41	ხულოს საკრებულო	14	14	14	100%
42	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	13	13	13	100%
43	ქალაქ ახალციხის მერია	13	13	13	100%
44	ქალაქ ოზურგეთის მერია	13	13	13	100%
45	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	12	12	100%
46	ქალაქ გორის მერია	12	12	12	100%
47	თვითმმართველი თემი მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	12	12	12	100%
48	ქარელის საკრებულო	12	12	12	100%
49	იურიდიული დახმარების სამსახური	11	11	11	100%
50	აბაშის საკრებულო	11	11	11	100%
51	ქალაქ ზუგდიდის საკრებულო	11	11	11	100%
52	მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	10	10	10	100%
53	ქალაქ ამბროლაურის საკრებულო	10	10	10	100%
54	ქალაქ გორის საკრებულო	10	10	10	100%
55	თვითმმართველი თემი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	10	10	100%
56	ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი	8	8	8	100%
57	ქალაქ თელავის საკრებულო	8	8	8	100%
58	თვითმმართველი თემი მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	8	8	8	100%

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება 2015

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2015 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, IDFI-ის მიერ გამოვლენილი იქნა ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. აღნიშნულმა უწყებამ, პროექტის განხორციელების პერიოდში, ყველაზე მეტი 44 მოთხოვნა დატოვა უპასუხოდ. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს, ისევე როგორც 2014 წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უარს აცხადებდა გაეცა საჯარო ინფორმაცია, რომელსაც ის ყოველგვარი შეფერხების გარეშე და სრულყოფილად გასცემდა (2012-2013 წლებში) არჩევნების შემდგომ პერიოდში. 2015 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა აწარმოა ორი დავა უწყების წინააღმდეგ, თუმცა სამინისტრომ არ დააკმაყოფილა ჩვენი ადმინისტრაციული საჩივრები. სამინისტრომ არ გაითვალისწინა არც 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მათზე გაცემული რეკომენდაცია ინსტიტუტის დარღვეული უფლებების აღდგენასთან დაკავშირებით, არც მინისტრის სახელზე IDFI-ის მიერ გაგზავნილ ღია წერილს მოყოლია რაიმე სახის რეაგირება. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ 2015 წლის 28 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ინსტიტუტის სარჩელი და ეკონომიკის სამინისტროს დაავალა სრულყოფილი სახით გასცეს ინფორმაცია ინსტიტუტის 16 მოთხოვნაზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამინისტრო არღვევს ჩვენს უფლებას როდესაც არ გასცემს ღია საჯარო ინფორმაციას. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტსაც, რომ 2013-2015 წლების განმავლობაში IDFI და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ სხვადასხვა პროექტებში (ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერა, სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანობის კვლევა და სხვა). სწორედ აქედან გამომდინარე ჩვენთვის მართლაც მოულოდნელი იყო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მხრიდან ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის პრინციპების უგულვებელყოფა.

ყველაზე არა-ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები

საქართველოს 286 ადმინისტრაციულ ორგანოს შორის 2015 წელს მხოლოდ რვა დაწესებულება აღმოჩნდა ისეთი, ვინც სრულად უგულვებელყო კანონით მათზე დაკისრებული ვალდებულება და უპასუხოდ დატოვა ინსტიტუტის ყველა განცხადება, საჯარო ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. კერძოდ, IDFI-ის მიერ გაგზავნილი

საჯარო ინფორმაციის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულმა შვიდმა უწყებამ და წალკის საკრებულომ.

ყველაზე არა-ანგარიშვალდებული დაწესებულებები				
N	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	უპასუხო	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	37	37	0%
2	სმარტ ლოჯიკი	37	37	0%
3	საკანონმდებლო მაცნე	35	35	0%
4	დანაშაულის პრევენციის ცენტრი	28	28	0%
5	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	28	28	0%
6	საქართველოს ეროვნული არქივი	28	28	0%
7	ნოტარიუსთა პალატა	28	28	0%
8	წალკის საკრებულო	26	26	0%

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული ზემოთ ხსენებული უწყებები, 2012-2013 წლების პროექტის განმავლობაში მაღალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩეოდნენ, თუმცა 2014 წლიდან აღნიშნულ დაწესებულებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაუარესდა და 2015 წელს მათ ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს.

2015 წელს ყველაზე არა-ანგარიშვალდებული დაწესებულებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პროექტების მიხედვით			
დაწესებულება	პროექტი 2015	პროექტი 2013-2014	პროექტი 2012 -2013
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	0%	73.3%	99.1%
სმარტ ლოჯიკი	0%	67.1%	99%
საკანონმდებლო მაცნე	0%	73.1%	94.2%
დანაშაულის პრევენციის ცენტრი	0%	24.7%	88.3%
იუსტიციის სასწავლო ცენტრი	0%	19.3%	96.7%
საქართველოს ეროვნული არქივი	0%	24%	99.5%
ნოტარიუსთა პალატა	0%	15.6%	90.6%

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგები დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები

2015 წელს განხორციელებული კვლევის პერიოდში საქართველოს ცენტრალურ საჯარო

დაწესებულებებს შორის IDFI-ის ყველა მოთხოვნაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით სრულყოფილი პასუხი გასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, აჭარის ა/რ - ის მთავრობის აპარატი და აჭარის ა/რ - ის ყველა სამინისტრომ.

საქართველოს 29 ცენტრალურ საჯარო დაწესებულებას შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიიღეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (10.8%) და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ (23.3%). როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემთხვევაში, პროექტის პერიოდში გაგზავნილი 51 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან, 44 მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.


ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის ოპია	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	29	29	0	0	0	29	100%
2	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	28	28	0	0	0	28	100%
3	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	27	27	0	0	0	27	100%
4	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	26	26	0	0	0	26	100%
5	აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	15	15	0	0	0	15	100%
6	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	15	15	0	0	0	15	100%
7	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	14	14	0	0	0	14	100%
8	აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	14	14	0	0	0	14	100%
9	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	13	13	0	0	0	13	100%
10	ენერგეტიკის სამინისტრო	21	20	1	0	0	21	97.6%
11	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	18	17	1	0	0	11	96.5%
12	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	28	26	2	0	0	28	96.4%
13	საგარეო საქმეთა სამინისტრო	28	26	2	0	0	2	95.6%
14	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	49	44	5	0	0	31	94.5%
15	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	25	22	3	0	0	25	94 %

16	დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	24	21	3	0	0	11	93.2%
17	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	24	21	2	0	1	14	91.3%
18	საქართველოს პარლამენტი	25	21	2	0	2	23	88 %
19	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	30	23	6	0	1	27	83.3%
20	სასაზღვაო სავაჭრო ურთიერთობებისა და პრობაციის სამინისტრო	25	20	1	2	2	23	82%
21	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	29	22	2	2	3	25	79.3%
22	თავდაცვის სამინისტრო	37	34	1	1	1	7	76.7%
23	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	19	13	0	0	6	13	68.4%
24	აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	19	12	1	0	6	0	65.1%
25	ფინანსთა სამინისტრო	38	19	11	4	4	6	54.2%
26	შინაგან საქმეთა სამინისტრო	59	17	15	2	25	6	36.8%
27	იუსტიციის სამინისტრო	36	11	0	0	25	9	30.5%
28	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	32	7	1	0	24	4	23.3%
29	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	51	4	3	0	44	7	10.8%


ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლების შედარება 2014 და 2015 წლების მიხედვით (პროგრესი და რეგრესი ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში)

ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკში, მოცემულია 2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებლის ცვლილება განვლილ პროექტთან (2013 ოქტომბერი - 2014 დეკემბერი) შედარებით. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ რეგრესს რომელიც განიცადა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროც ყველაზე გაუმჭირვალე ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ბოლო სამეულშია). კერძოდ, 2014 წელს ინსტიტუტმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია დააჯილდოვა სპეციალური სიგელით საუკეთესო პროგრესისთვის, რადგან მთავრობის გამჭვირვალობის რეიტინგმა 2013 ოქტომბერი - 2014 დეკემბრის პერიოდში განხორციელებული პროექტის ფარგლებში შეადგინა 98 %. სამწუხაროდ, უკვე 2015 წლის მონიტორინგის პერიოდში მთავრობის ადმინისტრაციამ უპასუხოდ დატოვა ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი 24 მოთხოვნა და შესაბამისად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგში მიიღო მხოლოდ 23.3 %, ხოლო მთავრობის ადმინისტრაციის რეგრესის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 74,80 %. რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, 2014 წელთან შედარებით, აღნიშნულმა უწყებამ 45,9%-ით გააუარესა საკუთარი მაჩვენებლები, დატოვა რა უპასუხოთ IDFI-ის მიერ გაგზავნილი 25 განცხადება. აღნიშნული განსაკუთრებით გასაკვირია იმის ფონზე, როდესაც იუსტიციის სამინისტრო არის საერთაშორისო ინიციატივის „პარტნიორობა ღია მმართველობისათვის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და ამავე დროს საქართველოს „ინფორმაციის თავისუფლების“ ახალი კანონის პროექტის ინიციატორი უწყება.



ხელმისაწვდომობის %-ული მაჩვენებლის ცვლილება განვლილ პროექტთან (2013 ოქტომბერი - 2014 დეკემბერი) შედარებით



ანგარიშვალდებულებისადმი მიდგომების ცვლილების ილუსტრაცია

2012 წლის ოქტომბრის თვის შემდგომ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სხვადასხვა სამინისტროს მხრიდან მიდგომების ცვლილებების საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ ერთი და იგივე მოთხოვნაზე სხვადასხვა პროექტში მოწოდებულ დოკუმენტაციას.

მაგალითად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სამიველინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია, პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპზე 2012 წლის 27 დეკემბერს, მოგვაწოდა დეტალურად თითოეულ თანამდებობის პირზე. 2014 წლის 12 თებერვალს იდენტური შინაარსის მოთხოვნაზე მოწოდებული იქნა არასრულყოფილი ინფორმაცია (მხოლოდ ჯამური მონაცემები), ხოლო 2015 წლის 10

მარტს ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი ანალოგიური მოთხოვნა საერთოდ უპასუხოდ იქნა დატოვებული.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატი კვირიკაშვილი გიორგი - მივლინება (ქვეყნის გარეთ)					2012 წლის 26 ნოემბრიდან			
პრძანება					საგადახდო მოთხოვნა			
№	ბრძნ	თარიღი	ქვეყნის დასახელება	სახელი, გვარ	№	გადარიცხვის თარიღი	სულ. ხარჯი	მშობრის მგზავრების (აზილუთის ხარჯი)
1	#კ-2/409	22.11.2012წ	თურქეთი	გიორგი კვირიკაშვილი	13472	26/11/2012	959.94	702.90
2	#კ-2/425	10.12.2012წ	ვაშინტონი	გიორგი კვირიკაშვილი	13674	10/12/2012	1351.00	
3	#კ-2/425	10.12.2012წ	ვაშინტონი	გიორგი კვირიკაშვილი	13678	11/12/2012	542.30	

2012 წლის 27 დეკემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მოწოდებული დეტალური ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ.

ინფორმაცია დანამატების, პრემიების და მივლინების (ქვეყნის გარეთ) ხარჯების შესახებ 2013 წელში თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა დანარჩენ თანამშრომლებზე (ჯამურად)			
პუნქტი#	დასახელება	თანამდებობის პირები (მინისტრი, მინისტრის 1-ლი მოადგილე, მინისტრის მოადგილეები, მინისტრის მრჩეველი, დეპარტამენტის უფროსები და მოადგილეები, სამსახურის უფროსები და მოადგილე, ბიუროს უფროსი, სამმართველოს უფროსები)	სხვა დანარჩენი თანამშრომლები (გარდა თანამდებობის პირებისა)
#7	მივლინება (ქვეყნის გარეთ)	343764,15	-

2014 წლის 12 თებერვალს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია (მხოლოდ ჯამური მონაცემები) სამივლინებო ხარჯების შესახებ.

2014 წელს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დილური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით.
2015 წლის 10 მარტს IDFI-ის მიერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის გაგზავნილი მოთხოვნა, რომელიც უპასუხოდ იქნა დატოვებული

პრემიების შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2013 წლის 7 თებერვალს მოგვაროდა დეტალურად თითოეულ თანამდებობის პირზე. 2014 წლის პროექტის ფარგლებში აღნიშნულ მოთხოვნაზე პასუხი მოწოდებულია, მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ, არასრულყოფილად (ჯამური მონაცემები). 2015 წელს განვლილი პროექტის მსგავსად, პრემიების შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია არასრულყოფილად, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ.

№	გვარი, სახელი, მამის სახელი	დარიცხვა
1	ხიზანიშვილი შოთა გივის ძე	63,500
2	ჯანაშვილი შალვა გიორგის ძე	80,750
3	ლორთქიფანიძე გიორგი გურამის ძე	58,250
4	ამირანაშვილი მიხეილ ომარის ძე	54,500
5	ზღუდაძე-გლუქსმანს ეკატერინე მიხეილის ასული	53,250
6	მაისურაძე ზურაბ შალვას ძე	47,125
7	ხარშილაძე ნოდარ მერაბის ძე	37,500
8	კოდუა ერეკლე ნოდარის ძე	35,500
9	გოგოძე ოთარ რევაზის ძე	32,250

2013 წლის 7 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დეტალური ინფორმაცია გაცემული პრემიების შესახებ.

დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი
თანამდებობის პირები	2,244,425.22	2,323,946.96	2,591,865.38	2,694,638.11	2,921,325.02	2,898,664.42	3,248,104.73

2014 წლის 29 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია (მხოლოდ ჯამური მონაცემები) პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

I, II, III და IV კვარტალი	
სარგოები, დანამატები და პრემიების ჯამი	დარიცხვა
თანამდებობის პირებზე	42,480,107.83
სხვა თანამშრომლებზე	285,995,295.85
ჯამი:	328,475,403.68
შტატგარეშე ხელშეკრულება	11,727,950.10

2015 წლის 22 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია (მხოლოდ ჯამური მონაცემები) პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

2012 წლის ოქტომბრის თვის შემდგომ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით არსებულმა მიდგომებმა არაერთხელ განიცადა ცვლილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემთხვევაშიც. მაგალითად, 2012 წლის 25 დეკემბერს სამინისტროს მიერ პრემიების შესახებ მოწოდებული იქნა დეტალური ინფორმაცია. 2013 და 2014 წლებში პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებისგან სამინისტრომ თავი შეიკავა და ინსტიტუტს ინფორმაცია მიაწოდა არასრულყოფილად, მხოლოდ ჯამური მონაცემები. თუმცა, 2015 წელს გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია ინსტიტუტს უკვე დეტალურად ეცნობა.

2012 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აპარატში გაცემული პრემიები

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
გვინდაძე დიმიტრი		3540		3540		3540	7080	3540				
ხეთიაგური ალექსანდრე									10620	7080		
პეტრიაშვილი პაპუნა	0	5900	2950	3250	5900	2950	2950	2950	5900	5900		
კერგალიშვილი გოგა	2720	8160	5440	8460	8160	5440	5440	5440	8160	5440		
კუმულარია რუსუდანი	0	5440	3020	3020	5440	2720	2720	2720	5440	5440		
ხარაიძე ავთანდილი	2720	5440	2720	3020	5440	2720	2720					
ბაიბურთი გრიგოლი		5440	2720	3020	5440	2720	2720	2720	5440	5440		
ებანიძე ჯაბა		5440	2720	3020	8160	2720	2720	2720	5440	5440		
ლეყავა ვასტანგი							5440	5440	5440	5440		
კოვზიძე თამარი							6650	5440				
ენუქიძე ნინო									8160	5440		
ხაღური ნოდარი											3540	3540
თაბუაშვილი გიორგი											2950	2950
ლეყავა დავითი											2720	2720
ებრაღიძე დავითი											2720	2720

2012 წლის 25 დეკემბერს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დეტალური ინფორმაცია პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების ოდენობა შეადგენს - 175365 ლარს;
 2013 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა შეადგენს 648819 ლარს;

2014 წლის 5 მარტს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია (მხოლოდ ჯამური მონაცემები) პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

2014 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების ოდენობა შეადგენს 568465 ლარს.

2014 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა შეადგენს 994515,72 ლარს.

2015 წლის 11 მაისს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაცია (მხოლოდ ჯამური მონაცემები) პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ც/ა თანამდებობის პირებზე 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 ივლისის ჩათვლით გაცემული დანამატის შესახებ

№	თანამდებობა	სახელი, გვარი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი
1	მინისტრი	ნოდარ ხაღური	2168.00	2168.00	2168.00	2168.00	2168.00	2168.00	2168.00
2	მინისტრის პირველი მოადგილე	გიორგი თაბუაშვილი	0.00	0.00	3640.00	2360.00	2960.00	2960.00	2960.00
3	სამსახურის უფროსი	ხათუნა ივანიშვილი	2800.00	2800.00	2800.00	2800.00	2800.00	2800.00	2800.00
4	მინისტრის მოადგილე	კოტე ავალიშვილი						3624.00	3624.00
5	სამმართველოს უფროსი	ვიკი ხაჩიძე			296.00	296.00	400.00	400.00	400.00
6	დეპარტამენტის უფროსი	შალვა კიკნაძე	2800.00	2800.00	2800.00	2800.00	2800.00	2800.00	2800.00
7	დეპარტამენტი უფროსის მოადგილე	ფრიდონ ასლანიშვილი	1600.00	1600.00	1600.00	1600.00	1600.00	1600.00	1600.00
8	სამსახურის უფროსი	ფიქრია თათარაშვილი	2800.00	2800.00	2800.00	2800.00	2800.00	2800.00	2800.00

2015 წლის 8 სექტემბერს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული დეტალური ინფორმაცია პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები


2015 წელს განხორციელებული კვლევის შედეგების თანახმად, აღნიშნული ტიპის საჯარო დაწესებულებებს შორის (ამ კატეგორიაში თავმოყრილია როგორც სამინისტროებს დაქვემდებარებული, ასევე დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა (სულ 105 საჯარო დაწესებულება)) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი 24-მა უწყებამ აჩვენა.

105 საჯარო დაწესებულებიდან, **შვიდმა უწყებამ** IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებების რეიტინგის ბოლო ათეულს წარმოადგენენ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები.


სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულების რეიტინგის პირველი ათეული								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაგვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	31	31	0	0	0	31	100%
2	ცენტრალური საარჩევნო კომისია	28	28	0	0	0	28	100%
3	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	26	26	0	0	0	26	100%
4	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	25	25	0	0	0	25	100%
5	ღვინის ეროვნული სააგენტო	25	25	0	0	0	25	100%
6	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	24	24	0	0	0	24	100%
7	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	23	23	0	0	0	23	100%
8	ეროვნული ბანკი	23	23	0	0	0	23	100%
9	ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	22	22	0	0	0	22	100%
10	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21	21	0	0	0	21	100%
სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულების რეიტინგის ბოლო ათეული								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაგვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	37	0	0	0	37	0	0%
2	სმარტ ლოჯიკი	37	0	0	0	37	0	0%
3	საკანონმდებლო მაცნე	35	0	0	0	35	0	0%

4	დანაშაულის პრევენციის ცენტრი	28	0	0	0	28	0	0%
5	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	28	0	0	0	28	0	0%
6	საქართველოს ეროვნული არქივი	28	0	0	0	28	0	0%
7	ნოტარიუსთა პალატა	28	0	0	0	28	0	0%
8	იუსტიციის სახლი	38	1	0	0	37	1	2.6%
9	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	29	1	0	0	28	1	3.4%
10	მონაცემთა გაცვლის სააგენტო	27	1	0	0	25	1	3.8%

როგორც ზემოთ, აღვნიშნეთ სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის 2015 წელს ყველაზე დაბალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩნენ იუსტიციის სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები (11 დაწესებულება). მათი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი 2015 წელს შეადგენს 1.5%-ს. 2015 წელს დაბალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩნენ აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები (7 უწყება), რომელთა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელმა 35.8% შეადგინა. კვლევის მიხედვით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალოდ ყველაზე მაღალი, 100%-იანი მაჩვენებელი, მიიღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებულმა ორმა უწყებამ.



საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებების კატეგორიაში განთავსებულ უწყებებს შორის, განვლილი პროექტის (2013 ოქტომბერი-2014 დეკემბერი) მაჩვენებელთან შედარებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ყველაზე მეტად გაუმჯობესებულია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შემთხვევაში (პროგრესი 61%), ხოლო გაუარესების თვალსაზრისით გამორჩეულია აღსრულების ეროვნული ბიურო (რეგრესი 79%).




რეგიონული ორგანოები - მერია, გამგეობა, საკრებულო და გუბერნატორის ადმინისტრაცია

151 რეგიონულ ორგანოს შორის 2015 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აჩვენა 22-მა საჯარო დაწესებულებამ. აღნიშნულ უწყებებს შორის წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წარმოადგენს ერთადერთ საჯარო დაწესებულებას, რომელმაც 2015 წელს ინსტიტუტის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა.


რეგიონული ორგანოების რეიტინგის პირველი ათეული								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	ცაგერის გამგეობა	21	21	0	0	0	21	100%
2	ტყიბულის გამგეობა	19	19	0	0	0	19	100%
3	წყალტუბოს გამგეობა	18	18	0	0	0	18	100%
4	კასპის გამგეობა	16	16	0	0	0	16	100%
5	დმანისის გამგეობა	15	15	0	0	0	15	100%
6	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა	14	14	0	0	0	14	100%
7	ცაგერის საკრებულო	14	14	0	0	0	14	100%
8	ხულოს საკრებულო	14	14	0	0	0	14	100%
9	ქალაქ ახალციხის მერია	13	13	0	0	0	13	100%
10	ქალაქ ოზურგეთის მერია	13	13	0	0	0	13	100%
რეგიონული ორგანოების რეიტინგის ბოლო ათეული								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	წალკის საკრებულო	26	0	0	0	26	0	0%
2	ბოლნისის გამგეობა	24	4	1	0	19	0	18.5%
3	თერჯოლის საკრებულო	22	4	1	0	17	5	20.5%
4	წალკის გამგეობა	28	6	1	0	21	7	23.2%
5	თერჯოლის გამგეობა	25	5	2	0	18	7	24%
6	ხონის გამგეობა	27	7	0	0	20	7	25.9%
7	ქალაქ მცხეთის საკრებულო	17	4	1	0	12	0	26.5%
8	ლენტეხის გამგეობა	28	7	1	0	20	8	26.8%
9	ბორჯომის საკრებულო	22	5	4	0	13	9	31.8%
10	გარდაბნის გამგეობა	26	7	3	0	16	10	32.7%

რეგიონების მიხედვით 2015 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი შიდა ქართლის რეგიონში ფიქსირდება - 92.13%, ხოლო ყველაზე დაბალი ქვემო ქართლში - 65.19%. დანარჩენი რეგიონების შემთხვევაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი 75% დან 88%-მდე მერყეობს.



რაც შეეხება ქალაქ თბილისის მერიისა და თბილისის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლებს, პროექტების მიხედვით განსხვავებული ტენდენციები ფიქსირდება. კერძოდ, ქალაქ თბილისის მერიის 2015 წლის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 90.9% შეადგინა, რაც 2012 წლის ივნისი - 2013 წლის ივლისის მაჩვენებელს 14.8%-ით, ხოლო 2013 ოქტომბერი - 2014 დეკემბრის მაჩვენებელს 10%-ით აღემატება.

განსხვავებული მდგომარეობაა თბილისის საკრებულო შემთხვევაში. კერძოდ, 2015 წელს განვლილ პროექტთან (2013 ოქტომბერი-2014 დეკემბერი) შედარებით საკრებულოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 27.2%-ით შემცირდა და მხოლოდ 62.3% შეადგინა. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ თბილისის საკრებულოს მიერ 2015 წელს არ იქნა სრულყოფილად გაცემული ის ინფორმაცია (მაგალითად, როგორიცაა საკრებულოს წევრებზე გაცემული პრემიები და დანამატები, გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები, სამივლინებო ხარჯები და სხვ.), რაც დეტალურად იქნა მათ მიერვე გასაჯაროებული განვლილი პროექტის ფარგლებში.




სახელმწიფო უნივერსიტეტები

საქართველოში მოქმედი სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აჩვენა **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა**, ივანე ჯავახიშვილის **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა** და **საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა**. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამედიცინო უნივერსიტეტი 2012-2015 წლებში განხორციელებული ყველა პროექტის ფარგლებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებლით გამოირჩეოდა, ხოლო ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს საკუთარი შედეგი ჩვენს რეიტინგში და პირველად მიიღეს 100 % მაჩვენებლები. სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის განვლილი პროექტის მაჩვენებლის გაუმჯობესების თვალსაზრისით გამორჩეულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (პროგრესი 21.2%).

სახელმწიფო უნივერსიტეტების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები

- პროექტი 2015 (იანვარი-ნოემბერი)
- პროექტი (2013 წლის ოქტომბერი - 2014 წლის დეკემბერი)
- პროექტი (2012 წლის ივლისი-2013 წლის ივნისი)




სასამართლო პრაქტიკა და პროექტის ფარგლებში გამოვლენილი განსაკუთრებით პრობლემური საკითხები


მოცემული თავის მიზანს წარმოადგენს მიმოხილულ იქნას პროექტის ფარგლებში 2014-2015 წლების განმავლობაში IDFI-ის მიერ წარმოებული დავები და ის ძირითადი პრობლემური საკითხები, რომლებსაც ორგანიზაცია აწყდებოდა მოცემული საქმეების მიმდინარეობის პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული იმ სტრატეგიულ სამართალწარმოების საქმეებზე, რომლებშიც სასამართლოთა მიერ გაკეთდა არაერთი პრეცედენტის შემქმნელი განმარტება.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის განმავლობაში IDFI-ის მიერ გასაჩივრებულ იქნა ადმინისტრაციულ ორგანოთა 25 გადაწყვეტილება. მათგან 12 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვეწოდა ნაწილობრივ ანსრულად, 12 შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივარი დარჩა უპასუხო ან უარი გვეთქვა ინფორმაციის მოწოდებაზე, ერთ საქმეზე ადმინისტრაციული წარმოება მოცემული დროისთვის არ დასრულებულა. იმ 12 საქმიდან, რომელთა შემთხვევაშიც არ დაკმაყოფილდა ჩვენი საჩივრები, IDFI-მ სასამართლოს მიმართა მხოლოდ განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის 3 საქმეზე, სადაც მოპასუხეებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და შემოსავლების სამსახური წარმოდგენდნენ. ამასთან 2015 წლის განმავლობაში სასამართლოში ჯერ კიდევ გრძელდებოდა საქმის გახილვა 2014 წელს წამოწყებულ 3 დავაზე. მოცემული პერიოდისთვის შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 4 დავაზე. უნდა ითქვას, რომ ოთხივე შემთხვევაში დავა IDFI-ის წარმატებით დასრულდა.

IDFI-ის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრები



IDFI-ის მიერ წარდგენილი სარჩელები



IDFI vs. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქმე IDFI ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტის შემქმნელი დავა საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში. მოცემულ დავაზე წარმოება მიმდინარეობდა სამივე ინსტანციის სასამართლოში, რის შედეგადაც, საქმის განმხილველ მოსამართლეთა მიერ გაკეთდა მრავალი მნიშვნელოვანი გამარტება, როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცესთან, ისე კონკრეტული მონაცემების ღია საჯარო ინფორმაციად მიჩნევის საკითხთან დაკავშირებით.

სასამართლოს მიერ ხაზგასმით განიმარტა, რომ ინფორმაცია ისეთი საკითხებზე, როგორიცაა თანამდებობის პირების მიერ მიღებული პრემიები და დანამატები, უწყების მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები, თანამდებობის პირთა ქვეყნის გარეთ განხორციელებული სამივლინებო ხარჯები, გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები და ინფორმაცია ჩანაცვლებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის შესახებ წარმოადგენ ღია საჯარო ინფორმაციას და უნდა გაიცეს საჯარო ინფორმაციის მომთხოვნზე.

მოცემულ დავაზე სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საჯარო ინფორმაციის გაცემის წესსა და პროცედურებთან დაკავშირებით. კერძოდ, თანამდებობის პირთა პრემიებისა და დანამატების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, განმცხადებლის გადამისამართების პრაქტიკა სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.declaration.gov.ge, სასამართლომ მიიჩნია კანონსაწინააღმდეგოდ. ამის საფუძველად სასამართლომ განმარტა, რომ თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია შეიცავს ინფორმაციას პირის მიერ წინა წლის ანაზღაურებადი მუშაობით მიღებული შემოსავლის მხოლოდ ჯამურ თანხას, შესაბამისად, მათზე დაყრდნობით შეუძლებელია ინფორმაციის მიღება თანამდებობის პირის მიერ მიღებული შემოსავლის შესახებ ცალ-ცალკე თვეების მიხედვით, ისევე, როგორც შეუძლებელია დაინტერესებულმა პირმა გამოარკვიოს ინფორმაცია ერთიანი თანხის შემადგენელი კომპონენტების შესახებ (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი).

ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხზე მსჯელობისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც განმცხადებელი მოითხოვს საჯარო ინფორმაციის გაცემას დაჯგუფებულს კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით, ის არუნდა შეიზღუდოს პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის შინაარსით და მისთვის სასურველი ინფორმაცია უნდა მიიღოს მოთხოვნილი ფორმით.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ განმცხადებელი თავად არჩევს საჯარო ინფორმაციის მიღებისას მისთვის სასურველ ფორმას. შესაბამისად, უკანონოა ადმინისტრაციულ ორგანოთა ქმედება, როდესაც ისინი საჯარო ინფორმაციის გაცემის ნაცვლად,

ინფორმაციის სანახავად განმცხადებელს ამისამართებენ საკუთარ ვებ-გვერდზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინფორმაცია ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია მხოლოდ ჯამური სახით და არა ისე როგორც ეს განმცხადებლის მიერ იყო მოთხოვნილი.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო დავა ფინანსთა სამინისტროსთან წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. ფინანსთა სამინისტროს მიერ სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ IDFI-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია უდავოდ წარმოადგენდა ღია კატეგორიის საჯარო ინფორმაციას. შედეგად, IDFI-მ 2014 წლის იანვარში მოთხოვნილი ინფორმაციის მიღება მხოლოდ 2015 წლის სექტემბერს შეძლო. დავის მიმდინარეობის პროცესში, IDFI-ის მიერ გამოითქვა ვარაუდი, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემას ფინანსთა სამინისტრო სასამართლო პროცესების პერიოდში განგებ აჭიანურებდა, რადგან მოთხოვნილ ინფორმაციას შესაძლებელია გამოველინა გარკვეული დარღვევები ან გადაცდომები. აღნიშნული ეჭვი სასამართლო დავების ხელოვნურად გაჭიანურების შესახებ, გარკვეულწილად დადასტურდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნითაც. კერძოდ, აუდიტის სამსახურის დასკვნის მიხედვით, ხაზი გაესვა გადაცდომებს სწორედ იმ ადმინისტრაციულ ხარჯებში, რომლის შესახებაც ინფორმაციას ითხოვდა IDFI და რომლის სრულყოფილად გასაჯაროებას ფინანსთა სამინისტრო თავს არიდებდა.

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საქმე IDFI საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ არის პრეცედენტული საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ადმინისტრაციულ ორგანოთა გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით. სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ აზუსტებს საჯარო დაწესებულებათა ვალდებულებას კონკრეტული კატეგორიის ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით და ადგენს მაღალ სტანდარტს ინფორმაციის იმ სახით გაცემასთან დაკავშირებით, როგორც ეს საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებით შეიძლება იყოს მოთხოვნილი.

IDFI vs. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დავა IDFI საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამდებობის პირთა პრემიებისა და დანამატების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონტექსტში. მოცემულ საქმეში თანამდებობის პირთა პრემიებისა და დანამატების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლომ მითითება გააკეთა როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კანონმდებლობაზე, კერძოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე, საქართველოს კონსტიტუციაზე და სხვა შიდა სახელმწიფოებრივ ნორმატიული აქტებით დადგენილ რეგულაციებზე, რის საფუძველზეც გაკეთდა რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოება უფლებამოსილია გაიგოს თუ რა თანხით ანაზღაურა ამა თუ იმ თანამდებობის პირის საქმიანობა საჯარო დაწესებულებამ. აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოების მაღალი ინტერესის მატარებელია. სწორედ აქედან გამომდინარე, თანამდებობის პირებს ეკისრებათ ვალდებულება შეავსონ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები, ხოლო მოქმედი კანონმდებლობა ხაზგასმით მიუთითებს, რომ საჯარო დაწესებულებებს ეკისრებათ ვალდებულება არ გასცენ პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, გარდა თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემებისა.

მოსამართლის განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ მინისტრი, მისი მოადგილეები და დეპარტამენტის თავმჯდომარეები ითვლებიან თანამდებობის პირებად და ავსებენ ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციას, უდავოა, რომ მათ მიერ საანგარიშო პერიოდში სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი საჯარო ინფორმაციის კატეგორიას განეკუთვნება და მისი გაცნობა უნდა შეეძლოს ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს.

ამასთან გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი გულისხმობს, თანამდებობრივი სარგოს გარდა, პრემიასა თუ კანონით გათვალისწინებულ სხვა ქონებრივ სარგებელს, რომლის გაცემის ვალდებულება აკისრია საჯარო დაწესებულებას. შესაბამისად ინფორმაცია თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს, ისევე როგორც მათ მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანისთვის.

მოცემული ინფორმაციის მიღების მიზნით, ინსტიტუტმა სამინისტროს 2014 წლის 13 ივნისს მიმართა, თუმცა ინფორმაცია დღეის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ მიგვიღია იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შსს-ს მიერ გასაჩივრებულ იქნა თავდაპირველად სააპელაციო, ხოლო შემდგომ კი საკასაციო წესით (მოცემული ეტაპისთვის უზენაესი სასამართლო განიხილავს შსს-ს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს). უწყების მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო ხოლო შემდგომ საკასაციო წესით გასაჩივრება უდავოდ ემსახურება პროცესის გაჭიანურების მიზანს. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულია განჩინება მსგავს დავასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ინფორმაცია თანამდებობის პირთა მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების შესახებ ცალსახად მიჩნეულია ღია საჯარო ინფორმაციად. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაუშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

IDFI vs. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

IDFI სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წინააღმდეგ სასამართლო დავას 2014 წლის მაისიდან აწარმოებდა. საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება ძალში მხოლოდ 2015 წლის ოქტომბერს შევიდა, რის შემდეგაც უწყების მიერ მოგვეწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია.

მოცემულ დავაში სასამართლოს მიერ განიმარტა, რომ ღია კატეგორიის საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს ცნობები შემდეგი საკითხების შესახებ: თანამდებობის პირების მიერ მიღებული პრემიების და დანამატები, უწყების ხელმძღვანელთა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები, წარმომადგენლობითი ხარჯები, ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯები, გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები, ბალანსზე რიცხული ავტომობილები და ჩანაცვლებული ტექნიკა.

დამატებით ინფორმაციის მოთხოვნილი სახით დამუშავებასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, რომ კონკრეტული სახის ინფორმაცია დაემუშავებინა განცხადებაში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად და მიეწოდებინა იგი მოსარჩელისთვის.

IDFI vs. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქმე IDF I ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ წარმოადგენს კიდევ ერთ წარმატებულ დავას საჯარო უწყების წინააღმდეგ. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოცემულ დავაზე სრულად დააკმაყოფილა ინსტიტუტის სასარჩელო მოთხოვნები. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ღია საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს მონაცემები ისეთი ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ, რომელთა მიღების მიზნითაც IDF I საჯარო უწყებებს სისტემატიურად მიმართავდა. მაგ. ინფორმაცია შიდა აუდიტორული დასკვნების, პრემიების, დანამატების, წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯების, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და ა.შ. (სულ 14 მოთხოვნა).

IDFI იმედოვნებს, რომ სამინისტრო გაითვალისწინებს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას და განგებ არ გააჭიანურებს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულყოფილი სახით მოწოდებას. აღნიშნული განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ IDF I-მ ინფორმაციის მიღების მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში მიმართა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დაბალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩეოდა 2014 წლის განმავლობაშიც, როდესაც მან უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ ჩვენი განცხადება და არ გასცა

მოთხოვნილი ინფორმაცია მიუხედავად სახალხო დამცველის მიერ მიღებული რეკომენდაციისა, რომელშიც ომბუდსმენი მიუთითებდა, რომ სამინისტროს უმოქმედობით ირღვეოდა IDFI-ს უფლება მიეღო საჯარო ინფორმაცია.

IDFI vs. იუსტიციის სამინისტრო

IDFI-სა და იუსტიციის სამინისტროს შორის დავა პრეცედენტულია გამომდინარე იქიდან, რომ დავის საგან წარმოადგენს სპეციფიური სახის საჯარო ინფორმაცია, რომლის შესახებაც დავა საქართველოს სასამართლოს პრაქტიკაში არ არსებობდა. კერძოდ, დავის საგანს წარმოადგენს სამსახურებრივი ელ.ფოსტით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია. ინსტიტუტს მოთხოვნილი აქვს საჯარო ინფორმაცია, რომელიც ეხება ელექტრონული ფოსტით მიღებულ და გაგზავნილ წერილებს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით. იუსტიციის სამინისტრომ უარი განაცხადა სამსახურებრივი ელ.ფოსტიდან მიღებულ და გაგზავნილ ინფორმაციის მოწოდებაზე იმ არგუმენტაციაზე მითითებით, რომ აღნიშნული არ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მოცემულ საჯარო ინფორმაციის განმარტების ქვეშ ვინაიდან „მას არ აქვს დოკუმენტის სახე“.

IDFI არ ეთანხმება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს პოზიციას. შესაბამისად მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ინსტიტუტმა დაიწყო დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ინფორმაციის განმარტების ქვეშ ხდება საჯარო დაწესებულებაში დაცული, ასევე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი თუ გაგზავნილი ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წლის განმავლობაში გამოვლინდა, საჯარო უწყებების მიერ კანონმდებლობის არასწორად განმარტების ბევრი შემთხვევა, როდესაც ისინი მიუთითებდნენ, რომ ელექტრონული ფოსტიდან მიღებული და გაგზავნილი წერილები არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას, იქიდან გამომდინარე, რომ ის არ შეიძლება ჩათვლილიყო დოკუმენტად, რომელიც წარმოშობდა შესაბამის სამართლებრივ შედეგებს.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველოსგან განსხვავებით, განვითარებული დემოკრატიის ქვეყანებში უკვე დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს საჯარო სამსახურში ელ.ფოსტით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის დაინტერესებული პირთათვის ხელმისაწვდომობა. ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, როგორც ამას პრაქტიკა მოწმობს, საქართველოში საჯარო სამსახურში ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის ღია კატეგორიის საჯარო ინფორმაციად ცნობა ჯერაც სადაო საკითხს წარმოადგენს.

IDFI vs. შემოსავლების სამსახური

შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ მიმდინარე დავაში IDFI-ის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის მიღება თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ. კერძოდ, 2015 წლის აპრილს ორგანიზაციამ მიმართა შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოში არსებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოწმება. მოთხოვნილ იქნა ასევე აღნიშნული შემოწმების ამსახველი ოქმები და დასკვნები. შემოსავლების სამსახურმა უარი განაცხადა ამ ინფორმაციის გაცემაზე და განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა საგადასახადო საიდუმლოებას. უწყების უარი გასაჩივრებულ იქნა თავდაპირველად ადმინისტრაციული, ხოლო შემდგომ სასამართლო წესით. დავაზე არსებითი მოსმენა მოცემული ეტაპისთვის არ ჩატარებულა.

IDFI-ის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრები

როგორც ეს ზემოთ უკვე იქნა აღნიშნული 2015 წლის განმავლობაში IDFI-მ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა 25 უწყების წინააღმდეგ. თუმცა, მათგან მხოლოდ 12 შემთხვევაში მოგვეწოდა ინფორმაცია საქმის შემდგომი გასაჩივრებისა და სასამართლოსთვის მიმართვის აუცილებლობის გარეშე. 12 შემთხვევაში უარი გვეთქვა ინფორმაციის მოწოდებაზე, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს წინააღმდეგ წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ჯერ არ ამოწურულა საჩივრის განხილვის ერთ თვიანი ვადა.

უწყებებს, რომლებმაც ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შედეგად ნაწილობრივ ან სრულად მოგვაწოდეს მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდნენ:

1. თავდაცვის სამინისტრო
2. შინაგან საქმეთა სამინისტრო
3. სოფლის მეურნეობის სამინისტრო
4. საქართველოს მთავარი პროკურატურა
5. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო
6. კომუნიკაციების ეროვნული კომისია
7. შემოსავლების სამსახური
8. საფინანსო ანალიტიკური სამსახური
9. სახელმწიფო ხაზინა
10. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტო
11. ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ მოცემულმა უწყებებმა მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდეს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ, რითიც თავიდან იქნა აცილებული გრძელვადიანი სასამართლო პროცედურები.

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის მიუხედავ, ინფორმაცია არ მოგვაწოდეს შემდეგმა უწყებებმა:

1. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (წარდგენილი იყო ორი ადმინისტრაციული საჩივარი)
2. ფინანსთა სამინისტრო
3. იუსტიციის სამინისტრო
4. სსიპ "სმართ ლოჯიკი"
5. საკანონმდებლო მაცნე
6. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
7. იუსტიციის სახლი
8. აღსრულების ეროვნული ბიურო
9. სასაზღვრო პოლიცია
10. სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
11. შემოსავლების სამსახური

ზემოთ ჩამოთვლილი 12 საქმიდან IDFI-მ სასამართლოს მიმართა მხოლოდ განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის 3 საქმეზე, სადაც მოპასუხეებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და შემოსავლების სამსახური წარმოდგენდნენ.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ მიმდინარე წლის ბოლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ უარი გვეთქვა იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელსაც სასამართლო მოცემულ პერიოდამდე გასცემდა სრულყოფილი სახით. აღსანიშნავია, რომ დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს წინააღმდეგ შეეხება ყოფილი თანამდებობის პირთა წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენებისა და განჩინებების ხელმისაწვდომობის საკითხს. სასამართლომ უარი განაცხადა მოეწოდებინა აღნიშნული ინფორმაცია მათში პერსონალური მონაცემების არსებობის საფუძველით. IDFI არ იზიარებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უწყების უარს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს სხდომათა საქვეყნოობის პრინციპი და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება დაესწროს სასამართლო სხდომებს და მოისმინოს სასამართლოს ზეპირ სხდომაზე გამოცხადებული გადაწყვეტილებები. აქედან გამომდინარე, ურთიერთგამომრიცხავია თან ღია სასამართლო პროცესზე გადაწყვეტილების გამოცხადების ნებისმიერი პირის მიერ მოსმენის შესაძლებლობა და ამავე დროს, თბილისის საქალაქო სასამართლოს უარი გასცეს ინფორმაცია სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ მათში პერსონალური ინფორმაციის არსებობის საფუძველით. ვთვლით, რომ თბილისის საქალაქოს სასამართლოს ეს უარი არალეგიტიმურია.

პროექტის ფარგლებში გამოვლენილი განსაკუთრებით პრობლემური საკითხები

2014-2015 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პროცესში, განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა საჯარო დაწესებულებებიდან ისეთი ინფორმაციის მიღება, როგორიცაა თანამდებობის პირების მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების ოდენობა, სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან განხორციელებული მიმოწერა, მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების მრჩეველების შესახებ ცნობები. რომ მიმდინარე წლის განმავლობაში განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა მიგველო სტატისტიკური მონაცემები საქართველოს პროკურატურაში შესული განცხადებების/ საჩივრების რაოდენობისა და მათზე დამდგარი შედეგების შესახებ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ სარჩელებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიმჩნევა სასამართლო სისტემაში. ბოლო ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ სრულად იქნა დაკმაყოფილებული IDFI-ის სარჩელები ისეთ საკითხებზე, რომლებზეც 2011-2013 წლების განმავლობაში სასამართლო იღებდა სრულიად განსხვავებულ გადაწყვეტილებებს. ეს ფაქტი ერთმნიშვნელოვნად დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს და წარმოადგენს დასტურს იმისა, რომ სასამართლო სისტემაში წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკა, როდესაც დავებზე გადაწყვეტილებები უმეტეს შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ გამოდიოდა, იცვლება ობიექტურობის, ღიაობის და გამჭვირვალობის სასარგებლოდ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პრობლემურია ის, რომ სასამართლო წესით საქმის წარმოებას ხშირ შემთხვევაში სჭირდება ხანგრძლივი პერიოდი, რომლის მსვლელობის პროცესშიც იკლებს მოთხოვნილი ინფორმაციის მიმართ არსებული საზოგადოებრივი ინტერესი ან დროის გასვლასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია კარგავს აქტუალობას. IDFI ბოლო წლების განმავლობაში მსგავს პრობლემას წააწყდა ფინანსთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წინააღმდეგ მიმდინარე დავების შემთხვევაში. აღნიშნულ საქმეებში მოთხოვნილ ინფორმაციის მიღების მიზნით აუცილებელი გახდა სასამართლო წესით გრძელვადიანი დავების წარმოება. აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ აუცილებელია შეიქმნას ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და დაინტერესებულ პირთა უფლებების სწრაფ და ეფექტურ დაცვას.

N	დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა %
1	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	31	31	0	0	0	31	100%
2	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	29	29	0	0	0	29	100%
3	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	28	28	0	0	0	28	100%
4	ცენტრალური საარჩევნო კომისია	28	28	0	0	0	28	100%
5	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	27	27	0	0	0	27	100%
6	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	26	26	0	0	0	26	100%
7	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	26	26	0	0	0	26	100%
8	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	25	25	0	0	0	25	100%
9	ღვინის ეროვნული სააგენტო	25	25	0	0	0	25	100%
10	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	24	24	0	0	0	24	100%
11	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	23	23	0	0	0	23	100%
12	ეროვნული ბანკი	23	23	0	0	0	23	100%
13	ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	22	22	0	0	0	22	100%
14	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	21	21	0	0	0	21	100%
15	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	21	21	0	0	0	21	100%
16	საჯარო სამსახურის ბიურო	21	21	0	0	0	21	100%
17	ცაგერის გამგეობა	21	21	0	0	0	21	100%
18	ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	20	20	0	0	0	20	100%
19	ეროვნული მუზეუმი	20	20	0	0	0	20	100%
20	საქპატენტი	20	20	0	0	0	20	100%
21	სახალხო დამცველის აპარატი	20	20	0	0	0	20	100%
22	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	20	20	0	0	0	20	100%
23	ტყიბულის გამგეობა	19	19	0	0	0	19	100%
24	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	18	18	0	0	0	18	100%
25	პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკა	18	18	0	0	0	18	100%
26	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	18	18	0	0	0	18	100%
27	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	18	18	0	0	0	18	100%
28	წყალტუბოს გამგეობა	18	18	0	0	0	18	100%
29	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი	16	16	0	0	0	16	100%
30	კასპის გამგეობა	16	16	0	0	0	16	100%
31	აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	15	15	0	0	0	15	100%
32	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	15	15	0	0	0	15	100%
33	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი	15	15	0	0	0	15	100%
34	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	15	15	0	0	0	15	100%
35	დმანისის გამგეობა	15	15	0	0	0	15	100%
36	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	14	14	0	0	0	14	100%
37	აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	14	14	0	0	0	14	100%

38	ვანო ხუზუნაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	14	14	0	0	0	14	100%
39	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა	14	14	0	0	0	14	100%
40	ცაგერის საკრებულო	14	14	0	0	0	14	100%
41	ხულოს საკრებულო	14	14	0	0	0	14	100%
42	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	13	13	0	0	0	13	100%
43	ქალაქ ახალციხის მერია	13	13	0	0	0	13	100%
44	ქალაქ ოზურგეთის მერია	13	13	0	0	0	13	100%
45	რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	12	0	0	0	12	100%
46	ქალაქ გორის მერია	12	12	0	0	0	12	100%
47	თვითმმართველი თემი მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	12	12	0	0	0	12	100%
48	ქარელის საკრებულო	12	12	0	0	0	12	100%
49	იურიდიული დახმარების სამსახური	11	11	0	0	0	11	100%
50	აბაშის საკრებულო	11	11	0	0	0	11	100%
51	ქალაქ ზუგდიდის საკრებულო	11	11	0	0	0	11	100%
52	მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	10	10	0	0	0	10	100%
53	ქალაქ ამბროლაურის საკრებულო	10	10	0	0	0	10	100%
54	ქალაქ გორის საკრებულო	10	10	0	0	0	10	100%
55	თვითმმართველი თემი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	10	0	0	0	10	100%
56	ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი	8	8	0	0	0	8	100%
57	ქალაქ თელავის საკრებულო	8	8	0	0	0	8	100%
58	თვითმმართველი თემი მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	8	8	0	0	0	8	100%
59	სურსათის ეროვნული სააგენტო	29	28	1	0	0	29	98.3%
60	მუნიციპალური განვითარების ფონდი	22	21	1	0	0	22	97.7%
61	დაზვერვის სამსახური	22	21	1	0	0	22	97.7%
62	ენერგეტიკის სამინისტრო	21	20	1	0	0	21	97.6%
63	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	20	19	1	0	0	20	97.5%
64	ქარელის გამგეობა	20	19	1	0	0	20	97.5%
65	ყვარლის გამგეობა	20	19	1	0	0	20	97.5%
66	სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	19	18	1	0	0	19	97.4%
67	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	24	23	1	0	0	24	97.3%
68	ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	18	17	1	0	0	18	97.2%
69	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	17	16	1	0	0	17	97.1%
70	დუშეთის გამგეობა	16	15	1	0	0	16	96.9%
71	ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15	14	1	0	0	15	96.7%
72	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	15	14	1	0	0	15	96.7%
73	ქალაქ ზუგდიდის მერია	15	14	1	0	0	15	96.7%
74	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	18	17	1	0	0	5	96.5%
75	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	28	26	2	0	0	28	96.4%
76	თვითმმართველი თემი გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა	14	13	1	0	0	14	96.4%
77	საზოგადოებრივი მაუწყებელი	13	12	1	0	0	13	96.2%
78	თვითმმართველი თემი ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა	13	12	1	0	0	13	96.2%
79	ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	13	12	1	0	0	13	96.2%
80	ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	13	12	1	0	0	13	96.1%
81	ეროვნული სატყეო საწარმო მეურნეობა	12	11	1	0	0	12	95.8%

82	სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	11	1	0	0	12	95.8%
83	ნინოწმინდის საკრებულო	12	11	1	0	0	12	95.8%
84	საგარეჯოს საკრებულო	12	11	1	0	0	12	95.8%
85	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	27	26	0	1	0	10	95.7%
86	საგარეო საქმეთა სამინისტრო	28	26	2	0	0	2	95.6%
87	გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	14	13	1	0	0	2	95.6%
88	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	22	21	0	0	1	21	95.5%
89	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	11	10	1	0	0	11	95.5%
90	გურიის გუბერნატორის ადმინისტრაცია	11	10	1	0	0	11	95.5%
91	სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	11	10	1	0	0	11	95.5%
92	თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	10	1	0	0	11	95.5%
93	ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი	20	19	0	0	1	19	95%
94	ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	10	9	1	0	0	10	95%
95	ასპინძის საკრებულო	10	9	1	0	0	10	95%
96	ხობის საკრებულო	10	9	1	0	0	10	95%
97	ხულოს გამგეობა	19	17	2	0	0	19	94.7%
98	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	49	44	5	0	0	28	94.5%
99	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	27	25	1	0	1	26	94.4%
100	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	26	24	1	0	1	25	94.2%
101	აბაშის გამგეობა	17	15	2	0	0	17	94.1%
102	ახმეტის საკრებულო	17	15	2	0	0	17	94.1%
103	ბაღდათის გამგეობა	17	15	2	0	0	17	94.1%
104	ჩხოროწყუს გამგეობა	19	17	2	0	0	7	94.1%
105	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	25	22	3	0	0	25	94%
106	საგარეჯოს გამგეობა	16	14	2	0	0	16	93.8%
107	თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	16	15	0	0	1	15	93.8%
108	მარტვილის საკრებულო	16	15	0	0	1	15	93.8%
109	დაცული ტერიტორიების სააგენტო	27	25	1	0	1	0	93.5%
110	გურჯაანის საკრებულო	15	13	2	0	0	14	93.3%
111	დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	24	21	3	0	0	11	93.2%
112	დედოფლისწყაროს საკრებულო	14	12	2	0	0	14	92.9%
113	თეთრიწყაროს საკრებულო	14	13	0	0	1	13	92.9%
114	მარნეულის გამგეობა	23	21	1	0	1	8	92.9%
115	საჩხერის საკრებულო	14	13	0	0	1	13	92.9%
116	ქალაქ ფოთის საკრებულო	14	13	0	0	1	13	92.9%
117	ყვარლის საკრებულო	14	13	0	0	1	13	92.9%
118	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	16	14	2	0	0	0	92.8%
119	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	13	11	2	0	0	13	92.3%
120	ქალაქ ბათუმის მერია	26	23	2	0	1	25	92.3%
121	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	18	15	3	0	0	18	91.7%
122	ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი	12	10	2	0	0	0	91.7%
123	შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	10	2	0	0	12	91.7%
124	ქალაქ ამბროლაურის მერია	12	10	2	0	0	12	91.7%
125	თვითმმართველი თემი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	12	10	2	0	0	12	91.7%

126	სამტრედიის გამგეობა	18	16	1	0	1	17	91.7%
127	ხაშურის საკრებულო	12	11	0	0	1	11	91.7%
128	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	24	21	2	0	1	14	91.3%
129	სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	23	20	2	0	1	22	91.3%
130	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	17	14	3	0	0	17	91.2%
131	ქალაქ თბილისის მერია	28	24	3	1	0	24	90.9%
132	ადიგენის საკრებულო	11	9	2	0	0	11	90.9%
133	ახალციხის საკრებულო	11	9	2	0	0	11	90.9%
134	ჩოხატაურის საკრებულო	11	9	2	0	0	11	90.9%
135	ბოლნისის საკრებულო	11	10	0	0	1	10	90.9%
136	ტყიბულის საკრებულო	11	10	0	0	1	10	90.9%
137	ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი	18	15	3	0	0	0	90.7%
138	მარნეულის საკრებულო	16	14	1	0	1	15	90.6%
139	ლაგოდეხის გამგეობა	21	17	4	0	0	21	90.5%
140	სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	26	23	1	1	1	22	90.3%
141	ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	10	9	0	0	1	9	90%
142	დმანისის საკრებულო	10	9	0	0	1	9	90%
143	ქობულეთის საკრებულო	10	9	0	0	1	9	90%
144	გურჯაანის გამგეობა	20	17	2	0	1	18	90%
145	ქალაქ ფოთის მერია	24	21	1	0	2	22	89.6%
146	დედოფლისწყაროს გამგეობა	19	15	4	0	0	19	89.5%
147	მარტვილის გამგეობა	19	16	2	0	1	18	89.5%
148	ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	14	12	1	0	1	13	89.3%
149	ქალაქ ბათუმის საკრებულო	14	12	1	0	1	13	89.3%
150	კონკურენციის სააგენტო	9	7	2	0	0	9	88.9%
151	თვითმმართველი თემი ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო	9	7	2	0	0	9	88.9%
152	ხაშურის გამგეობა	18	15	2	0	1	17	88.9%
153	ხელვაჩაურის გამგეობა	18	16	0	0	2	16	88.9%
154	ხელვაჩაურის საკრებულო	9	8	0	0	1	8	88.9%
155	ფინანსთა სამინისტროს აკადემია	17	15	0	0	2	15	88.2%
156	ქალაქ ქუთაისის საკრებულო	17	14	2	1	0	17	88.2%
157	სენაკის გამგეობა	17	14	2	0	1	16	88.2%
158	ჩოხატაურის გამგეობა	21	18	1	0	2	19	88.1%
159	საქართველოს პარლამენტი	25	21	2	0	2	23	88%
160	რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	9	7	2	0	0	0	87.9%
161	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	24	20	2	2	0	24	87.5%
162	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	24	20	2	0	2	22	87.5%
163	ციფრული მაუწყებლობის სააგენტო	24	20	2	0	2	22	87.5%
164	იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	10	1	0	1	11	87.5%
165	ზაღდათის საკრებულო	8	7	0	0	1	7	87.5%
166	ქალაქ თელავის მერია	12	9	3	0	0	12	87.5%
167	მესტიის საკრებულო	12	10	1	0	1	11	87.5%
168	ჭიათურის საკრებულო	12	10	1	0	1	11	87.5%
169	თიანეთის გამგეობა	19	15	3	0	1	18	86.8%
170	საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი	15	13	0	0	2	13	86.7%
171	ეროვნული უშიშროების საბჭო	11	8	3	0	0	11	86.4%
172	ეროვნული სატყეო სააგენტო	22	18	2	0	2	20	86.4%

173	დუშეთის საკრებულო	11	9	1	0	1	10	86.4%
174	სენაკის საკრებულო	11	9	1	0	1	10	86.4%
175	სიღნაღის საკრებულო	18	14	3	0	1	17	86.1%
176	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო*	24	20	2	2	0	24	85.8%
177	თვითმმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	14	12	0	0	2	12	85.7%
178	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	10	8	1	1	0	10	85%
179	ახალქალაქის საკრებულო	10	7	3	0	0	10	85%
180	თიანეთის საკრებულო	13	10	2	0	1	12	84.6%
181	გარემოს ეროვნული სააგენტო	29	24	1	0	4	25	84.5%
182	წყალტუბოს საკრებულო	16	13	1	1	1	15	84.4%
183	შუახევის საკრებულო	13	11	0	0	2	4	84.1%
184	სოფლის მეურნეობის სამინისტრო*	30	23	6	0	1	28	83.3%
185	ლენტეხის საკრებულო	9	6	3	0	0	9	83.3%
186	ქედის საკრებულო	12	9	2	0	1	11	83.3%
187	ახალქალაქის გამგეობა	24	19	2	0	3	13	83%
188	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	26	21	1	0	4	22	82.7%
189	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	20	13	7	0	0	20	82.5%
190	სიღნაღის გამგეობა	20	13	7	0	0	20	82.5%
191	ფინანსური მონიტორინგის სამსახური	20	16	1	0	3	17	82.5%
192	ქედის გამგეობა	20	16	1	0	3	17	82.5%
193	სასჯელადასრულებლისა და პრობაციის სამინისტრო	25	20	1	2	2	23	82%
194	ზესტაფონის გამგეობა	25	20	1	0	4	21	82%
195	ხარაგაულის გამგეობა	22	17	2	0	3	19	81.8%
196	კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	13	10	1	0	2	11	80.8%
197	ჭიათურის გამგეობა	16	12	2	0	2	0	80.4%
198	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	29	22	2	2	3	25	79.3%
199	ქალაქ ქუთაისის მერია	26	19	3	0	4	22	78.8%
200	ჩხოროწყუს საკრებულო	14	10	2	0	2	12	78.6%
201	თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა	16	12	1	0	3	13	78.1%
202	ხარაგაულის საკრებულო	16	12	1	0	3	13	78.1%
203	ქალაქ ოზურგეთის საკრებულო	9	6	2	0	1	8	77.8%
204	ზესტაფონის საკრებულო	20	15	1	0	4	16	77.5%
205	თავდაცვის სამინისტრო*	37	34	1	1	1	5	76.7%
206	ხობის გამგეობა	28	20	3	0	5	12	76.4%
207	კომუნიკაციების ეროვნული კომისია*	26	23	2	1	0	14	76.2%
208	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	19	11	7	0	1	0	75.4%
209	სამტრედიის საკრებულო	14	10	1	0	3	11	75%
210	ლაგოდეხის საკრებულო	17	12	1	0	4	5	73.1%
211	ონის საკრებულო	9	6	1	0	2	7	72.2%
212	თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	12	8	1	0	3	9	70.8%
213	ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური	22	13	5	0	4	18	70.5%
214	საჩხერის გამგეობა	22	15	1	0	6	16	70.5%
215	ქალაქ რუსთავის საკრებულო	20	13	2	2	3	9	69.7%
216	ქალაქ რუსთავის მერია	27	17	3	0	7	20	68.5%
217	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	19	13	0	0	6	13	68.4%
218	თეთრიწყაროს გამგეობა	25	17	0	1	7	18	68%
219	ყაზბეგის გამგეობა	22	14	2	0	6	8	67.8%

220	ონის გამგეობა	23	15	1	0	7	16	67.4%
221	სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის სამსახური*	11	7	3	1	0	11	66.4%
222	ვანის გამგეობა	24	16	0	0	8	6	66.3%
223	მესტიის გამგეობა	25	15	3	0	7	9	65.6%
224	აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	19	12	1	0	6	0	65.1%
225	სახელმწიფო ხაზინა*	19	12	3	0	4	6	64.2%
226	ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო*	14	10	2	2	0	7	63.9%
227	ყაზბეგის საკრებულო	11	7	0	0	4	7	63.6%
228	ქალაქ მცხეთის მერია	19	11	2	0	6	13	63.2%
229	ქალაქ თბილისის საკრებულო	12	3	9	0	0	10	62.3%
230	სოციალური მომსახურების სააგენტო	36	21	2	0	13	23	61.1%
231	ახმეტის გამგეობა	27	16	1	0	10	11	60.9%
232	შუახევის გამგეობა	25	14	2	0	9	16	60%
233	ბორჯომის გამგეობა	28	11	11	0	6	22	58.9%
234	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი	12	5	4	2	1	11	58.3%
235	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	29	13	8	0	8	12	58.3%
236	საფინანსო ანალიტიკური სამსახური*	20	11	6	0	3	5	57.9%
237	ქობულეთის გამგეობა	26	15	0	0	11	15	57.7%
238	ლანჩხუთის გამგეობა	26	15	0	6	5	16	57.5%
239	ვანის საკრებულო	20	11	0	0	9	11	55%
240	ფინანსთა სამინისტრო*	38	19	11	4	4	6	54.2%
241	ადიგენის გამგეობა	25	13	1	0	11	14	54%
242	საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	27	13	3	6	5	22	53.7%
243	შსს აკადემია	23	11	2	10	0	23	52.2%
244	სავაჭრო სამრეწველო პალატა	16	8	0	0	8	8	50%
245	გარდაბნის საკრებულო	14	5	4	0	5	9	50%
246	ლანჩხუთის საკრებულო	20	10	0	0	10	10	50%
247	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	20	8	4	0	8	12	50%
248	წალენჯიხის გამგეობა	22	9	4	0	9	6	49.7%
249	კასპის საკრებულო	18	8	1	0	9	9	47.2%
250	ხონის საკრებულო	24	11	0	0	13	7	45.7%
251	ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო	21	9	1	0	11	10	45.2%
252	ნინოწმინდის გამგეობა	29	11	3	0	15	14	43.1%
253	სასახლდრო პოლიცია*	26	8	14	3	1	2	42.1%
254	შემოსავლების სამსახური*	33	12	9	2	10	2	40.6%
255	შსს მომსახურების სააგენტო	27	5	4	0	18	0	40.4%
256	წალენჯიხის საკრებულო	19	6	3	0	10	9	39.5%
257	შინაგან საქმეთა სამინისტრო*	59	17	15	2	25	6	36.8%
258	მთავარი პროკურატურა*	38	12	11	0	15	10	36%
259	ასპინძის გამგეობა	21	7	0	0	14	4	33.2%
260	გარდაბნის გამგეობა	26	7	3	0	16	10	32.7%
261	ბორჯომის საკრებულო	22	5	4	0	13	9	31.8%
262	იუსტიციის სამინისტრო*	36	11	0	0	25	9	30.5%
263	სსიპ „112“	20	2	8	1	9	0	29.5%
264	ლენტეხის გამგეობა	28	7	1	0	20	8	26.8%
265	ქალაქ მცხეთის საკრებულო	17	4	1	0	12	0	26.5%
266	ხონის გამგეობა	27	7	0	0	20	7	25.9%
267	თერჯოლის გამგეობა	25	5	2	0	18	7	24%
268	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	32	7	1	0	24	4	23.3%

269	წალკის გამგეობა	28	6	1	0	21	7	23.2%
270	შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	23	2	6	0	15	0	21.4%
271	თერჯოლის საკრებულო	22	4	1	0	17	5	20.5%
272	ბოლნისის გამგეობა	24	4	1	0	19	0	18.5%
273	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო*	51	4	3	0	44	7	10.8%
274	აღსრულების ეროვნული ბიურო*	29	2	0	0	27	0	6.8%
275	დაცვის პოლიცია	22	1	1	0	20	0	6.7%
276	მონაცემთა გაცვლის სააგენტო	26	1	0	0	25	1	3.8%
277	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	29	1	0	0	28	1	3.4%
278	იუსტიციის სახლი*	38	1	0	0	37	1	2.6%
279	წალკის საკრებულო	26	0	0	0	26	0	0%
280	დანაშაულის პრევენციის ცენტრი	28	0	0	0	28	0	0%
281	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	28	0	0	0	28	0	0%
282	საქართველოს ეროვნული არქივი	28	0	0	0	28	0	0%
283	ნოტარიუსთა პალატა	28	0	0	0	28	0	0%
284	საკანონმდებლო მაცნე*	35	0	0	0	35	0	0%
285	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*	37	0	0	0	37	0	0%
286	სმართ ლოჯიკი*	37	0	0	0	37	0	0%

* საანგარიშო პერიოდში წარდგენილია ადმინისტრაციული საჩივარი.

შენიშვნა 1 რეიტინგის შედგენისას არ არის ასახული მოთხოვნები, რომლებზეც მიღებულია პასუხი, რომ ინფორმაცია არ აქვთ ან კონკრეტული ქმედება არ განხორციელებულა.

შენიშვნა 2 საჯარო დაწესებულებები, რომლებსაც კვლევის პერიოდში გაეგზავნა 5 და ნაკლები მოთხოვნა რეიტინგში არ იქნა შეყვანილი.